ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შედეგების შესახებ

ქალაქ თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების 6 თვის დაზუსტებული გეგმის 187,657.9 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 188,849.0 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმის 100,6%, შესაბამისად ბიუჯეტმა 1,191.0 ათასი ლარის დამატებითი შემოსავალი მიიღო. აღსანიშნავია, რომ გეგმის გადაჭარბება ძირითადად საგადასახადო შემოსავლებზე მოდის.

<u>I საგადასახადო შემოსავლები</u>

ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2006 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლების 6 თვის გეგმა 118,070.6 ათასი ლარი ფაქტიურად 128,439.7 ათასი ლარით შესრულდა, შესაბამისად გადაჭარბებამ 10,369.1 ათასი ლარი (108,8%) და მთლიანი შემოსავლების 68,0% შეადგინა. გამოსაყოფია, რომ გასული წლის იანვარ-ივნისის პერიოდთან შედარებით (ფაქტი მოგების გადასახადის გარეშე – 102,360.3 ათასი ლარი) წელს ბიუჯეტმა 26,079.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო.

საანგარიშო პერიოდში მიღებული საგადასახადო შემოსავლების 64,7% (83,100.4 ათასი ლარი) მიღებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ხაზით, 32,8% (42,073.6 ათასი ლარი) – მსხვილგადამხდელთა ინსპექციაზე მოდის, ხოლო დარჩენილი 2,5% (3,265.8 ათასი ლარი) აქციზის გადამხდელთა ინსპექციაზე:

2006 წლის 6 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები
საგადასახადო ინპექციების ჭრილში



საშემოსავლო გადასახადი

საანგარიშო პერიოდში მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა 107,959.8 ათასი ლარი (საგადასახადო შემოსავლების 84,1%) და ბიუჯეტით განსაზღვრული გეგმის (101,701.8 ათასი ლარი) 106,2% შეადგინა. მთლიანობაში გეგმის ზევით 6,258.0 ათასი ლარის შემოსავალია მიღებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის 6 თვის ფაქტი – 86,168.7 ათასი ლარი) ზრდამ 21,791.1 ათასი ლარი შეადგენა:



საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული შემოსავლების 18,4% მიღებულია ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან, ხოლო დარჩენილი 81.6% – კერძო სექტორზე მოდის.

ქონების გადასახადი

2006 წლის იანვარ–ივნისის პერიოდში ქონების გადასახადიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 15,649.9 ათასი ლარის შემოსავალი (საგადასახადო შემოსავლების 12,2%), გეგმის 13,078.9 ათასი ლარის 119,7%. მთლიანობაში გეგმის გადაჭარბებამ 2,571.1 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 9,824.5 ათასი ლარი) წელს ბიუჯეტმა 5,825.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო.

ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა შემდეგია:

– საწარმოთა ქონების გადასახადი – 11,862.8 ათასი ლარი;

– ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი – 1,079.5 ათასი ლარი;

– მიწის გადასახადი – 2,707.6 ათასი ლარი;

2005 წელთან შედარებით მიმდინარე წელს ზრდა აღინიშნა სამივე ქვესახეში, და ამასთან შეიმჩნევა მცირე სტრუქტურული ცვლილებიც:

ქ. თბილისის ბიუჯეტში ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები
2005 – 2006 წლები

ქონების გადასახადი	2005 წ 6 თვის ფაქტი	2006 წ 6 თვის ფაქტი	სხვაობა	ხვედრითი წილი (2005 წ)	ხვედრითი წილი (2006 წ)
საწარმოთა ქონების გადასახადი	8,024.3	11,862.8	3,838.5	81.7	75.8
ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	326.1	1,079.5	753,4	3.3	6.9
მიწის გადასახადი	1,474.1	2,707.6	1,233.5	15.0	17.3
სულ	**9,824.5**	**15,649.9**	**5,825.4**	**100.0**	**100.0**

<u>**სათამაშო ბიზნესის გადასახადი**</u>

საანგარიშო პერიოდში შემოსავლების სახით მიღებულია 3,966.1 ათასი ლარი, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით –1,185.4 ათასი ლარით ნაკლები (2005 წლის 6 თვის ფაქტი – 5,151.5 ათასი ლარი) და გეგმის (3,290.1 ათასი ლარის) 120,5%.

გამოსაყოფია, რომ აღნიშნული გადასახადიდან შემოსავლების შემცირება განაპირობა კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა (კერძოდ, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზებასა და მოწყობაზე მოთხოვნების გამკაცრებამ და სანებართვო მოსაკრებლის მნიშვნელოვანმა ზრდამ), რამაც ასახვა მიმდინარე წლის დასაწყისში ჰპოვა).

ობიექტების მიხედვით თანხები შემდეგნაირად განაწილდა: კაზინოებიდან ბიუჯეტში შესულია – 2,434.2 ათასი ლარი (61.4%), ტოტალიზატორებიდან, ბინგოებიდან და ლოტოებიდან – 404.6 ათასი ლარი (10,2%), სათამაშო აპარატებიდან – 1,075.0 ათასი ლარი (27,1%), ხოლო დარჩენილი – 52.2 ათასი ლარი (1,3%)

ნაწილდება ლატარიებზე, წამახალისებელ გათამაშებებზე, სისტემურ–ელექტრონულ თამაშობებზე და სხვა სახის ობიექტებზე:



გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში სხვა საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტმა დამატებით 864.0 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

II არასაგადასახადო შემოსავლები

2006 წლის 6 თვეში გეგმით განსაზღვრული 4,272.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 3,747.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გარღვევა –524.5 ათასი ლარით განისაზღვრა.

ადგილობრივი სალიცენზიო მოსაკრებლებიდან მიღებულია 1,364.1 ათასი ლარის ფაქტიური შემოსავალი, რომელმაც გეგმის 970.4 ათასი ლარის 140,6% შეადგინა, შედეგად ბიუჯეტმა დამატებით 393.7 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო.

მშენებლობის დაწყების ნებართვის მოსაკრებელი

საანგარიშო პერიოდში, ფაქტიური შემოსავლის სახით ბიუჯეტის მიერ მიღებულ იქნა 565.4 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმაზე (246.8 ათასი ლარი) 318.6 ათასი ლარით მეტია და ამასთან, ზრდამ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 533.9 ათასი ლარი შეადგინა (2005 წლის 6 თვე – 31.5 ათასი ლარი).

<u>სამგზავრო–სატრანსპორტო გადაზიდვს ნებართვისათვის მოსაკრებელი</u>

ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 624.2 ათასი ლარი და გეგმის (640.0 ათასი ლარი) შესრულებას –15.8 ათასი ლარი დააკლდა (97,5%). აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის 6 თვის ფაქტი – 850.7 ათასი ლარი) ბიუჯეტში მიღებულია –226.5 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი. ამასთან, მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლების 97,2% მიღებულია მიკროავტობუსებიდან, 2,5% – ავტობუსებიდან, ხოლო დარჩენილი 0,3% –ტრამვაი–ტროლეიბუსებზე მოდის.

საერთო–სახელმწიფოებრივი მოსაკრებლებიდან საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებულია 55.7 ათასი ლარის შემოსავალი. ფაქტიურმა შემოსავალმა მოსაკრებლიდან **<u>სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის</u>** 45.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმაზე (26.0 ათასი ლარი) 19.0 ათასი ლარით მეტია. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახური მთლიანობაში 1740-მა წვევამდელმა გადაივადა (მათ შორის სრულად–57-მა, ხოლო 1 წლით–1683-მა).

არ შესრულებულა **<u>ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდა</u>**ნ მისაღები შემოსავლების გეგმა, სადაც გეგმის (27.3 ათასი ლარი) ფაქტიურმა შესრულებამ მხოლოდ 7.1 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, **<u>სახელმწიფო ბაჟის</u>** სახით, აღნიშნულ პერიოდში, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 3.6 ათასი ლარი, რაც გეგმაზე (8.4 ათასი ლარი) –4.8 ათასი ლარით ნაკლებია.

<u>სახელმწიფო ქონების იჯარიდან</u> საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 281.7 ათასი ლარი (გეგმის 664.9 ათასი ლარის 42.4%), მათ შორის: 281.7 ათასი ლარი მიღებულია ადგილობრივი მმართველობის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების იჯარიდან, ხოლო დარჩენილი 66.3 ათასი ლარი – რესპუბლიკური დაქვემდებარების ქონების იჯარაზე მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით (2005 წლის I კვარტლის ფაქტი – 327.6 ათასი ლარი) კლებამ –46.2 ათასი ლარი შეადგინა.

2006 წლის იანვარ–ივნისის პერიოდში 287.6 ათასი ლარის შემოსავალია მიღებული **<u>ადგილობრივი ორგანოების საკუთრებაში არსებული ქონების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურუდიული პირისაგან მიღებული დივიდენდებიდან და წმინდა მოგების ნაწილიდან,</u>** რაც გეგმაზე (211.1 ათასი ლარი) 76.6 ათასი ლარით მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლების 65,7% ორ ორგანიზაციაზე: შპს „სანიაღვრე მეურნეობაზე“ (29.1 ათასი ლარი) და შპს „თბილქალაქგანათებაზე“ (160.0 ათასი ლარი) მოდის.

მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლები ჩარიცხულია 65 ორგანიზაციიდან.

<u>ჯარიმებიდან და სანქციებიდან</u> საანგარიშო პერიოდში მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 759.0 ათასი ლარი შედგინა, რაც გეგმაზე (619.5 ათასი ლარი) 139.5 ლარით მეტია. გამოსაყოფია რომ ჯარიმებიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულია 642.0 ათასი ლარის შემოსავალი, ანუ ჯარიმებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 84,6%, ამასთან მნიშვნელოვნია ზრდა 2005 წლის 6 თვესთან შედარებით, რაც მთლიანობაში 409.1 ათას ლარს შეადგენს.

<u>მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლების</u> სახით 2006 წლის 6 თვეში მიღებულია 649.3 ათასი ლარის შემოსავალი (გარღვევა შეადგენს -232.6 ათას ლარს), მათ შორის: განათლების სფეროში გაწეული მომსახურებიდან – 421.7 ათასი ლარი, კულტურის სფეროში მომსახურების გაწევიდან – 218.8 ათასი ლარი, საარქივო მომსახურების გაწევიდან – 6.3 ათასი ლარი და დარჩენილი 2.6 ათასი ლარი სხვა სახის მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის:

ქ. თბილისის ბიუჯეტში მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლები
2006 წლის 6 თვე



<u>III კაპიტალური შემოსავლები</u>

წინა წელთან შედარებით მიმდინარე წლის 6 თვეში მკვეთრი ზრდა აღინიშნა <u>კაპიტალის გაყიდვიდან</u> მიღებული შემოსავლების მხრივ, სადაც საანგარიშო

პერიოდში ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 27,076.9 ათასი ლარის შემოსავალი, რომლის 24,2% (5,127.1 ათასი ლარი) რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტების პრივატიზების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე მოდის, ხოლო დარჩენილი 75,8% (16,037.2 ათასი ლარი) – ადგილობრივი საკუთრების ქონების გაყიდვაზე.

5,713.7 ათასი ლარია მიღებული **ადგილობრივი მმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო მიწის გაყიდვიდან,** რაც დაგეგმილზე (9,768.0 ათასი ლარი) –4,054.3 ათასი ლარით ნაკლებია. თავის მხრივ, **არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო მიწაზე კერძო საკუთრების მინიჭების (გაყიდვის) შედეგად მიღებული შემოსავლებიდან** ბიუჯეტში მობილიზებულია 130.0 ათასი ლარი, ანუ გეგმასთან (153.0 ათასი ლარი) შედარებით –23.0 ათასი ლარით ნაკლები, ამასთან გასულ წელთან შედარებით (2005 წლის 6 თვის ფაქტი – 143.1 ათასი ლარი) კლებამ –13.1 ათასი ლარი შეადგინა.

ქ. თბილისის მთლიანი შემოსავლებიდან საქალაქო ბიუჯეტის შემოსავლები შესრულებულია 167,697.3 ათასი ლარით, ანუ 100.1%, (სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის გარეშე 102.9% -გეგმა 135,711.0 ათასი ლარი, ფაქტი 139,697.3 ათასი ლარი), ხოლო რაიონული ბიუჯეტების შემოსავლები შესრულებულია 21,151.8 ათასი ლარით, ანუ 104.9%, მათ შორის: გლდანი-ნაძალადევის რაიონი - 103.8%, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონი- 105.1 %, მთაწმინდა–კრწანისის რაიონი –106.5%, ვაკე-საბურთალოს რაიონი – 104.1 %, ისან - სამგორის რაიონი - 105.0% და დაბა წყნეთი – 109.9%.

2006 წლის 6 თვეში ტრანსფერის სახით ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულია 28,000.0 ათასი ლარი, რაც მთლიანად მიმართულია საქალაქო ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად. ამასთან ხარჯების დასაფარავად მიმართული იქნა 2006 წლის 1 იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 1,500.0 ათასი ლარის ოდენობით.

გადასახდელები

ქ.თბილისის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით 6 თვის გადასახდელები 147,199.1 ათასი ლარი შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით განსაზღვრულია 187,657.9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 169,688.3 ათასი ლარი, ანუ გეგმასთან შედარებით 17,969.6 ათასი ლარით ნაკლები. მათ შორის: საქალაქო ბიუჯეტის შესრულება შეადგენს 151,978.5 ათას ლარს, გეგმასთან შედარებით 15,507.6 ათასი ლარით ნაკლები (დაზუსტებული გეგმა 167,486.0 ათასი ლარი). რაიონული ბიუჯეტების დამტკიცებული გეგმა 20,443.3 ათასი ლარი დაზუსტდა

20,171.9 ათასი ლარით და შესრულებამ შეადგინა 17,709.8 ათასი ლარი, რაც გეგმასთან შედარებით 2,462.1 ათასი ლარით ნაკლებია.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით **საერთო დანიშნულების სახელმწიფო** მომსახურების ხაზით 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12,896.7 ათას ლარს, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით 11,172.8 ათასი ლარი, რაიონული ბიუჯეტებით – 1,723.9 ათასი ლარი. შესრულებამ სულ შეადგინა 11,065.4 ათასი ლარი, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით –9,516.2 ათასი ლარი, რაიონული ბიუჯეტებით 1,549.2 ათასი ლარი.

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით **თავდაცვის ხარჯები** 6 თვეში დაფინანსებულია 117.1 ათასი ლარის ოდენობით, ამ ხარჯებში შედის ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს და წყალში მაშველი სამსახურის ხარჯები.

საზოგადოებრივი წესრიგის ხარჯები 2006 წლის 6 თვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 2,095.8 ათასი ლარი. მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე 1,604.9 ათასი ლარი, შ.ს მთავარი სამმართველოსათვის 490.9 ათასი ლარი. ფაქტიურად ეს ღონისძიებები დაფინანსდა შესაბამისად 1,563.4 ათასი ლარით და 476.5 ათასი ლარით.

ქ. თბილისის 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტით **განათლების ხარჯები** განისაზღვრა 8,095.0 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 6,610.3 ათასი ლარი. განათლების ხარჯები 2006 წლის განმავლობაში ძირითადად გათვალისწინებული იყო რაიონულ ბიუჯეტებში – 7,349.8 ათასი ლარი, რაც შეადგენდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯებს, ხოლო განათლებისა და კულტურის საქალაქო სამასახურის ხარჯებში გათვალისწინებულია 745.2 ათასი ლარი. რაიონულ ბიუჯეტებში საკასო შესრულებამ შეადგინა 6,085.6 ათასი ლარით, ხოლო საქალაქო ბიუჯეტით 524.7 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრა 7,125.7 ათასი ლარით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 12,434.3 ათასი ლარი, მათ შორის 6 თვის გეგმა 2,925.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,658.0 ათასი ლარით. მათ შორის სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამები – 2,221.4 ათასი ლარით, საზოგადოებრივი პროგრამები – 436.6 ათასი ლარით.

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, რომელიც გეგმით შეადგენდა ათას 23,259.8 ლარს, ფაქტიურად დაფინანსდა 22,793.8 ათასი ლარით, მათ შორის საქალაქო ბიუჯეტით სოციალური დაცვის პროგრამების დაზუსტებული გეგმა 17,976.3 ათასი ლარი დაფინანსდა 17,775.8 ათასი ლარით, რაიონული ბიუჯეტებით სოციალური

დაცვის პროგრამების ხარჯები - 5282.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,018.0 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის დარგში გაერთიანებული ქალაქის საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯების, საკასო შესრულებამ სულ შეადგინა 109,929.3 ათასი ლარი, (გეგმა 121,774.5.0 ათასი ლარი) აქედან საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების ხარჯებია 34,043.4 ათასი ლარი (გეგმა 40,807.4 ათასი ლარი) და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები - 75,885.9 ათასი ლარი (გეგმა 80,897.1 ათასი ლარი).

საქალაქო ბიუჯეტით საბინაო მშენებლობისა და კომუნალური განვითარების საკასო ხარჯები 32,325.9 ათასი ლარია და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები – 72,742.1 ათასი ლარი, ხოლო რაიონული ბიუჯეტებით ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ხარჯები შეადგინს 1,717.5 ათას ლარს და კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯები – 3,143.8 ათას ლარს.

კულტურის სფეროს ხარჯები გათვალისწინებულია განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ასიგნებებში, რომელიც გეგმით განისაზღვრა 4,727.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 4,328.2 ათასი ლარი. მათ შორის მიმდინარე ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 4,285.0 ათასი ლარს და კაპიტალური ხარჯების –43.2 ათას ლარს. აქედან კულტურის დაწესებულებების ხარჯები – 3,080.9 ათასი ლარი და სხვა კულტურული ღონისძიებების – 1,247.3 ათასი ლარი.

სპორტის ხარჯები მოიცავს მთლიანად სპორტის საქალაქო სამსახურის დასაფინანსებელ ხარჯებს. ეს ხარჯები დაზუსტებული გეგმით შეადგენს 6,644.3 ათას ლარს და საკასო ხარჯმა შეადგინა 6,283.0 ათას ლარი, მათ შორის მიმდინარე ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 2,489.0 ათასი ლარს და კაპიტალური ხარჯების –3,794.0 ათას ლარს.

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ხარჯებში გათვალისწინებული იყო მსოფლიო ბანკის თანადაფინანსების და ქალაქში საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების მოწესრიგების სამუშაოების ხარჯები. 6 თვის გეგმით გათვალისწინებულია 1,850.0 ათასი ლარი, საიდანაც დაფინანსდა 1,226.5 ათასი ლარით, რაც სულ საქალაქო ბიუჯეტის ხარჯებია.

სხვა მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან გეგმით შეადგენდა 3,244.7 ათას ლარს, აქედან საქალაქო ბიუჯეტით 2,943.8 ათას ლარს და რაიონული ბიუჯეტებით 300.9 ათას ლარს. საკასო შესრულება შესაბამისად შეადგენს

2,441.0 ათას ლარს და 195.6 ათას ლარს. საქალაქო ბიუჯეტით მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები შეადგენს 494.3 ათასი ლარი.

ცალკეული სამსახურების მიხედვით 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმის შესრულება შემდეგია:

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი (01 00)

2006 წლის ბიუჯეტით საკრებულოს აპარატს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 73 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 124 ერთეულით, რაც საანგარიშო პერიოდში დაზუსტდა 233 ერთეულამდე.

საკრებულოს აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 1261.7 ათ. ლარი, დაზუსტდა 1463.9 ათას ლარამდე. 202.2 ათასი ლარით გაიზარდა შრომის ანაზღაურების ფონდი, შესაბამისი დამქირავებლიდან ანარიცხებით და სუბსიდიის მუხლი.

შესრულებამ შეადგინა 1231.6 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 232.3 ათ. ლარი, რაც ძირითადად მოდის სხვა საქონელი და მომსახურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯზე.

მერიის ადმინისტრაცია (02 00)

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საშტატო ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 109 საშტატო ერთეულს, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობა 62 ერთეულს.

2006 წლის 6 თვის ბიუჯეტით დამტკიცებულიმა გეგმამ შეადგენა 2,858.1 ათ. ლარი, დაზუსტდა 4,643.6 ათ. ლარამდე. ცვლილებები განხორციელდა შრომის ანაზღაურების მუხლში – 133.1 ათ. ლარი, შესაბამისი დარიცხვით; სხვა ხარჯები გაიზარდა -1,741.0 ათ. ლარით, 929.5 ათ. ლარი სხვადასხვა ხარჯებისათვის; ძირითადი საშუალებების შესაძენი ხარჯები გაიზარდა 100.0 ათ. ლარით; კაპიტალური შეკეთების ხარხები გაიზარდა – 629.5 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდში ასევე განხორციელდა შიდა მუხლობრივი გადანაწილება, რაც ბიუჯეტის შესრულების პროცესში მიმდინარე აუცილებლობით იყო გამოწვეული.

აუთვისებლობამ შეადგინა 1,822.6 ათ. ლარი, რაც ძირითადად კაპიტალური ხარჯების წილად მოდის.

საფინანსო საქალაქო სამსახური (03 00)

2006 წლის ბიუჯეტით საფინანსო საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 69 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 5 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 378.7 ათ. ლარი, დაზუსტდა 423.7 ათას ლარამდე. 35.0 ათასი ლარით გაიზარდა ძირითადი საშუალებების შესაძენი ხარჯები, სამსახურებრივი ავტომანქანის შესაძენად, ხოლო 10.0 ათ. ლარით გაიზარდა კომუნალური მომსახურების ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 404.4 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 19.3 ათ. ლარი, რაც ძირითადად მოდის სხვა საქონელი და მომსახურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯზე.

ამასთან, 2006 წლიდან სამსახური უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარებების უმწეო მოქალაქებზე გაცემას. მოქალაქეთა ფინანსურ დახმარებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 64.4 ათასი ლარი.

ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური (04 00)

ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 თვის გეგმა განისაზღვრა 3,503.0 ათასი ლარით, მათ შორის: აპარატის ხარჯები – 130.8 ათასი ლარით, მსოფლიო ბანკის თანადაფინანსება – 3,372.2 ათასი ლარით, აქედან: თანადაფინანსება – 1,500.0 ათასი ლარი და სესხის მომსახურება – 1,872.2 ათასი ლარი.

სამსახურის მიერ 2006 წლის 6 თვის განმავლობაში სულ გახარჯულია 2685.0 ათასი ლარი. მათ შორის: აპარატის ხარჯები – 111.4 ათასი ლარი, მსოფლიო ბანკის თანადაფინანსება – 2,573.5 ათასი ლარი, აქედან: თანადაფინანსება – 898.3 ათასი ლარი და სესხის მიმსახურება – 1,675.2 ათასი ლარი.

მსოფლიო ბანკის თანადაფინანსების მუხლში აუთვისებლობა გამოწვეულია ზოგიერთი პროექტის მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობით, რამაც შეაფერხა პროექტის დასრულება და შესაბამისად თანადაფინანსებისა და სესხის მომსახურების თანხების გადარიცხვა.

კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია (05 00)

2006 წლის ბიუჯეტით კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 30 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 9 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 245.5 ათ. ლარი, საანგარისო პერიოდში განხორციელდა მხოლოდ შიდა მუხლობრივი ცვლილებები და გეგმის საერთო მოცულობა არ გაზრდილა.

შესრულებამ შეადგინა 202.1 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 43.4 ათ. ლარი. რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების ხარჯებში წარმოქმნილი ეკონომიით.

ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური (06 00)

2006 წლის ბიუჯეტით ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 38 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 249.9 ათ. ლარი, დაზუსტდა 264.9 ათას ლარამდე. 15.0 ათასი ლარით გაიზარდა სხვა ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 175.8 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 89.1 ათ. ლარი. რაც ძირითადად მოდის სხვა საქონელი და მომსახურებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებზე.

ქ. თბილისის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური (07 00)

ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 თვეში დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 5,713.4 ათასი ლარი. ბიუჯეტის შესრულების პროცესში გეგმა დაზუსტდა – 5,785.1 ათასი ლარამდე. საკასო შესრულებამ შეადგინა –5,128.2 ათასი ლარი, გეგმა დაფინანსებულია 88.6%-ით. აღნიშნული მაჩვენებლები მოიცავს აპარატის შესანახ ხარჯებს, განათლების ხარჯებსა და კულტურის ობიექტებისა და ღონისძიებების ხარჯებს.

განათლებისა და კულტურის საქალაქო საქმსახურის აპარატის საშტატო ერთეულთა რიცხოვნობა 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 51 საშტატო ერთეულს. სამსახურის აპარატის 6 თვის დატკიცებული გეგმა შეადგენს 291.4 ათ. ლარს, დაზუსტებული გეგმა 312.5 ათ. ლარს შეადგენს, ხოლო შესრულება 275.2 ათ. ლარია, ანუ გეგმაზე 37.3 ათ. ლარით ნაკლებია.

განათლების ხაზით 2005 წლის 1 იანვრიდან ირიცხება განათლების 15 დაწესებულება, მათ შორის 9 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი - 314 საშტატო ერთეულით; 3 მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი -131 საშტატო ერთეულით, წყნეთის ბავშვთა სახლი - 80 საშტატო ერთეულით, ე.ახვლედიანის სახ. ბავშვთა სურათების გალერეა – 23.5 საშტატო ერთეულით და საბავშვო სათამაშოების მუზეუმი – 7 საშტატო ერთეულით.

მოსწავლეთა ახალგაზრდობის სახლების 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 179.5 ათ. ლარს, ამ პერიოდისათვის აღნიშნულ დაწესებულებების დაფინანსება 138.3 ათ. ლარია, რაც გეგმაზე 41.2 ათ. ლარით ნაკლებია. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე, დამქირავებლიდან ანარიცხების ჩათვლით გაწეულია 109.0 ათ. ლარის ხარჯი, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე - 24.9 ათ ლარი, კაპიტალურ ხარჯებზე – 3.7 ათ. ლარი. 1 ივლისისათვის კრედიტორული დავალიანება შეადგენს 0.5 ათ. ლარს.

მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო სახლების დაზუსტებული გეგმა 203.9 ათ. ლარია, შესრულება შეადგენს 154.8 ათ ლარს, ანუ გეგმაზე 49.1 ათ. ლარით ნაკლებს. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასზე გაწეულია 74.0 ათ. ლარის დაფინანსება, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე – 80.9 ათ. ლარი. მიუსაფარ ბავშვთა სახლებში ბავშვთა კვებაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 69.0 ათ ლარი, ფაქტიურად გაწეულია 47.3 ათ. ლარი. ანუ გეგმაზე 21.7 ათ. ლარით ნაკლები. ბავშვთა კვების დაფინანსება ხდებოდა ბავშვთა გამტარიანობის მიხედვით. მიუსაფარ ბავშვთა სახლებზე 2006 წელს ბავშვთა კვების ნორმა განისაზღვრა 1 ბავშვზე დღეში 2.00 ლარი. საანგარიშო პერიოდისათვის, აღნიშნული დაწესებულებების კრედიტორული დავალიანება შეადგენს 11.1 ათ. ლარს, რაც ძირითადად მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს განეკუთვნება.

წყნეთის ბავშვთა სახლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 202.0 ათ. ლარს, შესრულება 149.2 ათ. ლარია, რაც გეგმაზე 52.8 ათ. ლარით ნაკლებია. შრომის ანაზღაურების ხარჯები დაფინანსებულია 49.9 ათ. ლარით, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულია 99.4 ათ. ლარის ხარჯი, მათ შორის კვებაზე – 52.3 ათ. ლარი. ბავშვთა კვების ნორმა განსაზღვრულია 1 ბავშვზე დღეში 2.20 ლარი.

საბავშვო სათამაშოების მუზეუმის დაზუსტებული გეგმა 5.4 ათ. ლარია, შესრულება შეადგენს 4.1 ათ. ლარს, გეგმაზე 1.3 ათ. ლარზე ნაკლებს. ხელფასის ფონდზე გაწეულია 4.1 ათ. ლარის ხარჯი.

განათლების მიზნობრივი პროგრამების ხაზით დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 100.0 ათ ლარი, შესრულება 52.8 ათ. ლარია, ანუ გეგმაზე 47.2 ათ ლარით ნაკლები. საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და ამოქმედდა შემდეგი მიზნობრივი პროგრამები: მიუსაფარ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების, რიგი სოციალური საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამები.

მოზარდთა სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის მიზნით დაფინანსდა: ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების – “რწმენა” და “რწმენა 1” პროგრამა 30.0 ათ. ლარით; განხორციელდა სამთვიანი პროგრამა,

რომელიც მიუსაფარი და სოციალურად დაუცველი ბავშვების კვებას, სამედიცინო მომსახურებასა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ემსახურებოდა.

მოსწავლეებში და პედაგოგებში სწავლებისა და სწავლის მოტივაციის გაზრდის, მათში ემპირიული და მეცნიერულო კვლევის უნარების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ეროვნული მედია-პროექტი - "ეტალონი", ტელეკომპანია "იმედისა" და ჟურნალ "რეიტინგის"ერთობლივი პროექტი, რომელიც მოსწავლეებში ცოდნის გაღრმავებასა და წიგნისაკენ შემობრუნებას ისახავს მიზნად. ამ მიზნით დაფინანსებამ შეადგინა 6.3 ათ. ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამოქალაქო ინტეგრაციის, სოციალური რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ასევე ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ პირთათვის ხმოვანი წიგნების ჩაწერას, გახმოვანდა ნაწარმოებები, რაზეც დაიხარჯა 5.0 ათ. ლარი.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდა სამსახურის დაკვეთითა და უშუალო მონაწილეობით. პროგრამის პარტნიორია ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება". პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების რესტრუქტურიზაციას, მათ ბაზაზე თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული სახელობო მომზადებისა და პროფორიენტაციის სისტემის შექმნას, მიუსაფარ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მომზადებას მათი შემდგომი დასაქმების მიზნით, ამ პროგრამაზე გაწეულია 5.2 ათ. ლარის დაფინანსება.

"ჯანსაღი ცხოვრების მარშრუტები"- პროგრამა განხორციელდა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისა და მიუსაფარი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლის, ჯუმბერ ლეჟავას ხელმძღვანელობით, წინასწარ დაგეგმილ მარშრუტებზე ჩატარდა შემეცნებით-გამაჯანსაღებელი ლაშქრობები, რომელშიც სხვებთან ერთად მიუსაფარი ბავშვებიც მონაწილეობდნენ. აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა 6.0 ათ. ლარით.

6 თვის დამტკიცებული გეგმა **კულტურის ხაზით** შეადგენს 4,176.97 ათას ლარს. დაზუსტების შემდეგ იგი განისაზღვრა 4,727.36 ათასი ლარით. ანუ 550.39 ათასი ლარით მეტი. გეგმის ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1-ლი იანვრიდან დაფინანსება შეწყვეტილი ქონდა სამუსიკო სასწავლებლებს, რომლებიც ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას და სასწავლო წლის ნახევარში დაფინანსების შეწყვეტა პრობლემებს შეუქმნიდა იქ მომსახურე პერსონალს. აქედან გამომდინარე ქ.თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით გადაწყდა წლის პირველ ნახევარში მათი ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი. ასევე გადაწყდა მწერალთა და

საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონების მოვლა პატონობის და შენახვის ხარჯების დაფინანსებაც.

2006 წლის 6 თვის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 4,328.2 ათასი ლარი. შესრულება 91% .

ქ. თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტზე კულტურის ხაზით 2006 წლის 1 იანვრიდან ირიცხება 31 სამუსიკო სკოლა 2560 საშტატო ერთეულით, 11 მუზეუმი 84 საშტატო ერთეულით, 9 თეატრი, 4 სასწავლებელი, ბიბლიოთეკების გაერთიანება- 365 საშტატო ერთეულით, ბიგ-ბენდი- 1 და მუსიკალური-კულტურის ცენტრი- 1.

კულტურის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტი ითვალისწინებს კულტურის ობიექტების პედაგოგთა და მათთან გათანაბრებულ პერსონალთა შრომის ანაზღაურებისა და მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას.

სამუსიკო სკოლებისათვის 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1,609.1 ათას ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,620.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა კი 1432.9 ათასი ლარი. შესრულება შეადგენს 88 %-ს

მუზეუმებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 111.1 ათასი ლარი, დაზუსტებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 132.3 ათასი ლარი, საიდანაც ხარჯი გაიწია 72.1 ათასი ლარის ოდენობით. შესრულება შეადგენს 54%-ს.

მუნიციპალური თეატრების შესანახი ხარჯი გათვალისწინებული იყო პროგრამული დაფინანსების სახით. წლის დასაწყისში შეტანილ იქნა ცვლილება და შესანახი ხარჯი გადანაწილებულ იქნა ცალკეულ თეატრებზე. საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო 552.0 ათასი ლარი, დაზუსტებული მაჩვენებელი იგივეა, საკასო ხარჯი ამ პერიოდში შეადგენს 539.4 ათასი ლარს. შესრულება 97%.

ბიბლიოთეკების ცენტრალური გაერთიანებისათვის გათვალისწინებული 352.2 ათასი ლარიდან ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 322.4 ათას ლარი, დაზუსტებული მაჩვენებელი არ შესვლილა. შესრულება შეადგენს 91%-ს

თბილისის საკონცერტო ორკესტრ "ბიგ-ბენდისათვის" დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული 23.0 ათასი ლარი დაზუსტების შემდეგ განისაზღვრა 98.0 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 79.0 ათასი ლარით. შესრულება შეადგენს 80.0%-ს

მუსიკალურ კულტურული ცენტრისათვის გათვალისწინებული 186.0 ათასი ლარი დაზუსტდა 234.0 ათასი ლარით და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა კი 207.1 ათასი ლარი, დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 26.9 ათასი ლარით ნაკლები. შესრულება 88%-ს.

კულტურული პროგრამებისათვის გათვალისწინებულ იქნა 275.2 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 229.2 ათასი ლარი დაფინანსებამ კი 227.0 ათასი ლარი. შესრულება შეადგენს 99%-ს.

<u>პროგრამით ”სახელმწიფო დღესასწაულები”- განხორციელდა:</u>

<u>ა) საახალწლო ზეიმის ფარგლებში ”უშგულელი თოვლის ბაბუა” საშობაო-საახალწლო საჩუქრების შეძენა</u>

3- 14 იანვრის ჩათვლით, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე მისულ ბავშვებს "უშგულელი თოვლის ბაბუას" მიერ დაურიგდათ საახალწლო-საშობაო საჩუქრები. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 19.0 ათ. ლარი.

ბ) 3 მარტს დედის დღის აღსანიშნავად ჩატარებული საქველმოქმედო ღონისძიებები;

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდის "იავნანა" საქველმოქმედო კონცერტი; სპორტის სასახლეში მოეწყო ჯგუფის "ქუჩის ბიჭები" კონცერტი. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 3,6 ათ. ლარი.

გ)”თბილისობა 2006”- თბილისის საპატიო მოქალაქეები (წინასაორგანიზაციო სამუშაოები)

შესრულებული სამუშაოებია -გამოსაშვები ბუკლეტისათვის საინფორმაციო მასალების მოძიება. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 1,8 ათ. ლარი.

დ) “ფაშიზმზე გამარჯვების დღე”- რომელიც მოიცავს 5 ღონისძიებას: ხსოვნის სადამო “ღიმილი მინდა”, სამამულო ომის ვეტერანთა შეხვედრა გამარჯვების პარკში, ევროპის დღის აღსანიშნავი გალა-კონცერტი რიყეზე და ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონის საზეიმო დახურვა; ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გაიმართა ქართული კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების ხსოვნის სადამო - "ღიმილი მინდა". ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 3,5 ათ. ლარი. ფაშიზმზე გამარჯვების 61 წლისთავის აღსანიშნავად, სამეფო უბნის თეატრში დაიდგა იაპონელი კლასიკოსის “იუკიო”, მისიმას პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი "ჩემი მეგობარი ჰიტლერი". სადადგმო ხარჯმა შეადგინა 19.9 ათასი ლარი.

ე) “საქართველოს დამოუკიდებლობის დღე”’- რომელიც მოიცავს 5 ღონისძიებას: თბილისის საკონცერტო ორკესტრისა და ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი, ბავშვთა ფოლკლორული კოლექტივების კონცერტი, სამხედრო აღლუმი, ვარდობის თვე თბილისში და მსვლელობა შიმშილის წინააღმდეგ; ერეკლეს ქუჩაზე არტ ფართი ჯგუფის მიერ განხორციელდა ყვავილების ფესტივალი "ვარდობის თვე თბილისში" ფესტივალზე გამოფენილი იყო თბილისის ბოტანიკურ ბაღში არსებული უნიკალური

ჯიშის დეკორატიული ნარგავები; ვიზუალური და დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები. მოეწყო კონკურსები ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მოწვეული იყვნენ ქართველი და უცხოელი მაღალი რანგის წარმომადგენლები;

სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მოეწყო თბილისის ბიგ-ბენდისა და ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტი და თბილისის ბავშვთა ფოლკლორული კლექტივების კონცერტი. სულ ღონისძიებს ხარჯმა შეადგინა 37,9 ათ. ლარი. ასევე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ეგიდით, 22 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გოგი დოლიძის სახელობის ახალგაზრდა შემსრულებელთა კონკურსი-ფესტივალი. ფესტივალის გალა-კონცერტი ჩატარდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში და გაშუქდა ტელეკომპანიის "მზე" პირდაპირი ეთერით. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 3.2 ათ. ლარი.

ვ) "ბავშვთა დაცვის დღე"_რომელიც მოიცავს 3 ღონისძიებას: საქველმოქმედო კონცერტი ხელოვნების მუშაკთა სახლში, საქველმოქმედო კონცერტი "ყველაფერი იწყება თავიდან", თბილისის სამუსიკო და ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა კონცერტი

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა თბილისის სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დათვალიერება-კონკურსის შედეგად შერჩეული საუკეთესო შემსრულებლებისა და გუნდების დასკვნითი კონცერტი, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი - "ყველაფერი იწყება ზღაპრიდან". ღონისძიების მოსაწვევები უსასყიდლოდ გადაეცათ თბილისისა და მის ახლომდებარე მიუსაფარ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებს (თითოეულ ღონისძიებაზე რაოდენობა დაახლოებით 550 ბავშვი). ღონისძიებაზე შვეიცარიული ფირმა "ნესტლე" ტკბილეულით გაუმასპინძლდა კონცერტზე მოწვეულ ბავშვებს; გიმართა საქველმოქმედო კონცერტი ხელოვნების მუშაკთა სახლში და საქველმქომედო აქცია ბავშვთა ქალაქში "მზიური"; სულ ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 10,4 ათ. ლარი.

<u>პროგრამით "სახელმწიფო დღესასწაულები"-</u> დამტკიცებული ბიუჯეტი ექვს თვეში შეადგენდა 160.2 ათ. ლარს, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 94.2 ათ. ლარი , ხოლო საკასო შესრულება- 93.6 ათ. ლარი.

"გაცვლითი კულტურული პორგრამები ქალაქებს შორის" პროგრამით განხორციელდა:

ა) "თბილისის დღეები სტამბულში"

1-3 ივნისს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში გაიმართა თბილისის კულტურული დღეები. დღეების პროგრამით მოეწყო გამოფენები, მათ შორის:

ნაციონალური თოჯინების, ქართული ტრადიციული და თანამედროვე ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ტურისტული სარეკლამო-საინფორმაციო ნაწარმის; მოძრავი ექსპოზიცია "საქართველო-თურქეთის ურთიერთობები", გაიმართა კონცერტები: ანსამბლის "ერისიონი", საქართველოს სახალხო არტისტის ნანი ბრეგვაძის, მომღერალ ეკა მამალაძის, პიანისტის ვალერიან შიუკაშვილის, კვარტეტის "ფორტე", ანსამბლის "ქართული ხმები" და თურქეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლების მონაწილეობით; კოსტუმირებული მსვლელობით ქუჩაში, ქართული ნაციონალური სამზარეულოსა და ღვინის პრეზენტაცია. "თითების თეატრის" და "მოძრაობის თეატრის" წარმოდგენები და ქართული ნაციონალური კუთხე. ღონისძიებისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ღონისძიების ხარჯმა სულ შეადგინა 138.9 ათასი ლარი

ბ) "სტამბულის დღეები თბილისში"- თურქეთის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი თბილისში. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 4.9 ათასი ლარი.

"გაცვლითი კულტურული პორგრამები ქალაქებს შორის" - დამტკიცებული ბიუჯეტი ექვს თვეში შეადგენდა 115.0 ათ. ლარს, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 135.0 ათ. ლარი , ხოლო საკასო შესრულებაა 133.4 ათ. ლარი.

ახალგაზრდული პროგრამებისათვის გათვალისწინებული იყო 557.0 ათასი ლარი, დაზუსტებული მაჩვენებელი არ შეცვლილა. ხარჯმა აღნიშნულ პერიოდში 557.0 ათასი ლარი შეადგინა ანუ შესრულება 100%. მ.შ. პროგრამა პატრიოტისათვის გამოყოფილი იქნა 421.0 ათასი ლარი და პროგრამა საჩუქარი ბავშვებს 136.0 ათასი ლარი;

ზოოლოგიური პარკისათვის გამოყოფილი 460.0 ათასი ლარის ხარჯი, დაფინანსებულ იქნა 433.0 ათასი ლარით შესრულება 94%.

პარკი "მზიური" დაფინანსებული იქნა 30.4 ათასი ლარით გეგმა კი შეადგენდა 32.2 ათას ლარს დაზუსტებული მაჩვენებელი არ შეცვლილა. შესრულება შეადგენს 94%-ს;

პანთეონებისათვის წლის დასაწყისში გეგმით ასიგნება არ ყოფილა გათვალისწინებული. დაზუსტების შედეგად 6 თვის გეგმამ შეადგინა 35.0 ათასი ლარი ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 14.7 ათასი ლარი, შესრულება შეაგენს 42%-ს;

სახელოვნებო სკოლებისათვის წლის დასაწყისში ასევე არ ყოფილა გათვალისწინებული ასიგნება. დაზუსტების შედეგად 6 თვის გეგმამ შეადგინა 425.0 ათასი ლარი, ხარჯმა, კი 413.2 ათასი ლარი შესრულება 97%.

<u>**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური (08 00)**</u>.

სამსახურიხ 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 3207.9 ათასი ლარი, დაზუსტებულმა -3799.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 3356.8 ათასი ლარი.

სამსახურის აპარატის ვალდებულებანი წარმოდგენილია 397.7 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 350,0 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (419,5 ათასი ლარი) 83 %-ია;

სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამების მიხედვით ვალდებულებანი წარმოდგენილია 1629,3 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 1628,5 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (1741,0 ათასი ლარი) 93 %-ია;

მოცემულ პერიოდში მთლიანად დაფინანსდა:

„დაუსრულებელი ოსტეოგენეზით დაავადებულ ბავშვთა პროგრამა" I-II (3,3 ათასი ლარი);

„უმწეოთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა '' (1363,0 ათასი ლარი);

„სოციალურად დაუცველი, ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახების სამედიცინო დახმარების პროგრამა" (8,0 ათასი ლარი);

„ომის ვეტერანთა სტომატოლოგიური დახმარების პროგრამა" (7,0 ათასი ლარი);

„მსხვილ სისხლძარღვთა ქირურგიული მკურნალობის პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 12,0 ათას ლარს, შესრულდა 11845,0 ათასი ლარით;

„9 აპრილს დაზარალებულთა დისპანსერული შემოწმების პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 4,0 ათას ლარს, შესრულდა 1,9 ათასი ლარით;

„სარეკრიაციო ზონების სანიტარული ნორმების კვლევის პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 10,0 ათას ლარს, შესრულდა 5,0 ათასი ლარით;

„სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის საწვავით მომარაგების პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 270,0 ათას ლარს, შესრულდა 198,7 ათასი ლარით.

6 თვეში დამატებით გამოყოფილი იქნა ასიგნებები 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისათვის და ამავე პერიოდში მთლიანად დაიფარა წინა პერიოდში შესრულებული და აუნაზღაურებელი სამუშაოები—592,9 ათასი ლარი ოდენობით, მათ შორის: გულის თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის პროგრამა- 393,0 ათასი ლარი, ურგენტული ამბულატორიული (ტრამვა) პროგრამა - 21,9 ათასი ლარი, მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის პროგრამა- 154,3 ათასი ლარი, უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების

პროგრამა – 21,2 ათასი ლარი, პროგრამის მართვისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის ხარჯები- 2,5 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამების მიხედვით ვალდებულებანი წარმოდგენილია 484,8 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 436,6 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (583,1 ათასი ლარი) 75 %-ია;

„გადამდებ დაავადებათა კერებში ეპიდ. მოკვლევის, დეზდამუშავების და პრევენციული ღონისძიებების პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 316,0 ათას ლარს, შესრულდა 303,5 ათასი ლარით.

„თბილისის მოსახლეობაში ონკოლოგიური დაავადებების ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის (პრევენციის) პროგრამა", რომლის გეგმაც მოცემულ პერიოდში შეადგენდა 180,0 ათას ლარს, შესრულდა 109,9 ათასი ლარით.

მოცემულ პერიოდში მთლიანად დაფინანსდა „პარაზიტულ დაავადებათა კომპლექსურ პროფილაქტიკურ ღონისძიებებათა პროგრამა" (23,0 ათასი ლარი). ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის I-II კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3799,9 ათას ლარს. დარეგისტრირებულია 3463,5 ათასი ლარის ვალდებულებანი. დამოწმებები და ფაქტიური ხარჯი ურთიერთშესაბამისია და წარმოდგენილია 3356,8 ათასი ლარის ოდენობით.

მ.შ. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის აპარატის ვალდებულებანი წარმოდგენილია 397,7 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 350,0 ათასი ლარი, რაც პერიოდის დაზუსტებული გეგმის (419,5 ათასი ლარი) 83 %-ია;

ქ.თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (09 00)

ქ.თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 4,947.7 ათას ლარს. მათ შორის: აპარატისათვის – 193.4 ათასი ლარი, სპორტული სკოლების, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორტული ცენტრებისათვის – 2,784.3 ათასი ლარი, ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებებისათვის – 450.0 ათასი ლარი, მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისათვის – 1520.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 6,837.7 ათასი ლარი. დამტკიცებულთან შედარებით გეგმა გაიზარდა 1,990.0 ათასი ლარით. მათ შორის: მარტივი ტიპის სპორტული მოედნები 1,700.0 ათასი ლარი, ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებები 90.0 ათასი ლარი და გლდანის ტერიტორიაზე ახალი საფეხბურთო მოედნის მოსაწყობად და პერსონალისათვის 200.0 ათასი ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ სულ შეადგინა 6,459.3 ათასი ლარი. ე.ი. დაზუსტებული ბიუჯეტის მიმართ 94.46%-ი.

სამსახურის აპარატის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 193.4 ათას ლარს, ფაქტიური დაფინანსება – 176.3 ათას ლარს, შესრულება – 91,2%-ი.

სპორტული სკოლების, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორტული ცენტრების 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2,884.3 ათას ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 2,532.3 ათასი ლარი, ე.ი. დაზუსტებული ბიუჯეტის მიმართ 87.7%-ი.

6 თვეში სპორტული სკოლების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, დამქირავებლიდან ანარიცხებთან ერთად დაფინანსებულია 1,262.0 ათასი ლარით. მოხმარებული ელ-ენერგიის ხარჯმა შეადგინა 68.8 ათასი ლარი, წყლის 120.8 ათასი ლარი, გათბობის 125.0 ათასი ლარი, კავშირგაბმულობის 2.3 ათასი ლარი, სულ კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 316.9 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმით 458.1 ათასი ლარი). სხვადასხვა ხარჯები (სემინარები, ტურნირები, სპორტული შეჯიბრებები) დაფინანსებულია 364.0 ათასი ლარით, რაც დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 31.1 ათასი ლარით ნაკლებია. ამასთან, 3 სპორტულ სკოლას, ოლიმპიურ და სპეციალიზირებულ სპორტულ ცენტრს სპორტული შეჯიბრებებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისათვის ავანსის სახით გატანილი აქვს 12.4 ათასი ლარი და დამოწმების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ვალდებულების დოკუმენტში გათვალისწინებული თარიღისათვის.

სპორტული სკოლების კაპიტალური შეკეთებისათვის 6 თვის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 595.0 ათასი ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 563.5 ათასი ლარი (კაპიტალური რემონტი, სახურავების, შიგა და გარე წყალკანალიზაციის ქსელების აღდგენა), კაპიტალური სამუშაოები ჩატარდა 7 ობიექტში. მათ შორის: გ. კარტოზიას სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრი – 130.0 ათასი ლარი (გეგმით – 130.0 ათასი ლარი); გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრი – 30.0 ათასი ლარი (30.0 ათასი ლარი); ოლიმპიური მზადების ცენტრი "სანაპირო" – 144.6 ათასი ლარი (145.0 ათასი ლარი); წყალთა სახეობის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი – 98.9 ათასი ლარი (100.0 ათასი ლარი); სპორტის სახეობათა სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი "ავიამშენი" – 40.0 ათასი ლარი (40.0 ათასი ლარი); 58-ე გახანგრძლივებული დღის რეჟიმის კალათბურთის სპორტული სკოლა – 90.0 ათასი ლარი (90.0 ათასი ლარი); ჩოგბურთის სპეციალიზირებული სპორტული ცენტრი – 30.0 ათასი ლარი (60.0 ათასი ლარი);

მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქციისათვის 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული იყო 1,520.0 ათასი ლარი. დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 3,220.0 ათასი ლარი, შესრულებამ – 3,220.0 ათასი ლარი;

ქ.თბილისსა და დაბა წყნეთში მოეწყო და კაპიტალურ შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა 47 ხელოვნურ საფარიან მარტივი ტიპის სპორტულ მოედანს და დაიგო 20.450 კვ.მ მწვანე საფარი. სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს 23 მოედანზე, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

ცენტრალიზებული სპორტული ღონისძიებების 6 თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 540.0 ათას ლარს. (გეგმით 450.0 ათასი ლარი), ფაქტიური დაფინანსება – 530.7 ათასი ლარი. შესრულება – 98,1%-ი. ამასთან, ავანსის სახით გაცემულია 32.1 ათასი ლარი და დამოწმების დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ვალდებულების დოკუმენტში გათვალისწინებული თარიღისათვის. 6 თვეში სპორტის საქალაქო სამსახურმა ჩაატარა 22 ქალაქის პირველობა, 6 ჩემპიონატი, 3 ქ.თბილისის მერიის თასი, 19 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 21 მივლინება, 1 მასობრივი ღონისძიება (სპარტაკიადა), 1 ღია მემორიალი, 2 სახელობითი ტურნირი, რომელზეც დაიხარჯა – 418.3 ათასი ლარი. სპორტული ღონისძიებებიდან 6 თვეში ფინანსური დახმარებები გაეწიათ ძიუდოს ფედერაციას – 50.4 ათასი ლარი, ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლას 20.0 ათასი ლარი, აგრეთვე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი, დიპლომები, ქუჩის ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის დაიბეჭდა სარეკლამო ფლაიერები, რომელზეც დაიხარჯა 42.0 ათასი ლარი.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური (10 00)

2006 წლის ბიუჯეტით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 121 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 23 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 717.1 ათ. ლარი, დაზუსტდა 782.1 ათას ლარამდე. 100.0 ათასი ლარით გაიზარდა სხვა საქონელისა და მომსახურების ხარჯები, მათ შორის 70.0 ათასი ლარით გაიზარდა სხვა ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 677.9 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 104.2 ათ. ლარი, რაც ძირითადად მოდის შრომის ანაზღაურებისა და სხვა საქონელი და მომსახურებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯზე.

ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (11 00)

ქ.თბილისის 2006 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ხარჯები განსაზღვრულია 1,620,4 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმა - 866.2 ათას ლარით, მათ შორის, აპარატის შენახვის

წლიური გეგმა შეადგენს 836,9 ათას ლარს, 6 თვის დაზუსტებული გეგმა - 448.7 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი - 367.7 ათას ლარს. აქედან მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯი - 231.4 ათასი ლარია. დამქირავებლიდან ანარიცხების ხარჯი - 46.3 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება – 49.7 ათასი ლარი, კაპიტალური ხარჯები – 40.3 ათასი ლარი.

2006 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით ურბანული დაგეგმარების სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია - 783.5 ათასი ლარი, ხოლო 6 თვის დაზუსტებული გეგმით - 417.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 90.0 ათასი ლარი. აქედან კონკურსების ხარჯებზე გადარიცხულია 15.0 ათასი ლარი, დანარჩენი 75.0 ათასი ლარი გადარიცხულია რიყის ტერიტორიის განაშენიანების მოსამზადებელი სამუშაოებისათვის.

თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის თბილისის კორპუსი (12 00)

კორპუსის აპარატის ხარჯების 6 თვის დაზუსტებული გეგმიდან – 220.0 ათასი ლარიდან, აღებული ვალდებულება შეადგენს 192.8 ლარს, გეგმის 88%-ი, დამოწმება და გადარიცხვა კი განხორციელდა 173.3 ათას ლარზე. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 111.4 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურმა – 61.9 ათასი ლარი.

2006 წელს საქალაქო სამსახური – თბილისის კორპუსის მიერ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამა "ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა". პროგრამა ითვალისწინებს სახურავების, ლიფტებისა და შიდა წყალ-გაყვანილობის შეკეთებას წილობრივი მონაწილეობით. პროგრამის მთლიანი მოცულობა დღეისათვის 13 979.7 ათას ლარს შეადგენს. მიმდინარე წლის 6 თვის ფაქტიურმა ხარჯმა 2 124.2 ათასი ლარი შეადგინა, აქედან პროგრამის მომსახურებაზე დაიხარჯა 91.8 ათასი ლარი. ხარჯები გაწეულია პროგრამის მონიტორინგისათვის (საწვავისა და მონო ბარათების თანხა 24,3 ათასი ლარი და 5.7 ათასი ლარი შესაბამისად). სარეკლამო მომსახურებისათვის (7 458 ლარის ტრიპლეტები დამზადდა და 5.4 ათასი ლარი სარეკლამო ფოტო – მომსახურების შესყიდვაზე დაიხარჯა); საკანცელარიო ხარჯებისათვის – 5.7 ათასი ლარი, კოორდინატორების ხელფასისათვის – 42.5 ათასი ლარი, ვებ-გვერდის განახლებისათვის 0.8 ათასი ლარი. მიუხადავად იმისა, რომ პროექტი მთელ ქალაქს მოიცავს და საკმაოდ მაშტაბურია თითოეული დაფინანსებული პროექტი, სამუშაოების დასრულების შემდეგ სპეციალისტების მიერ დეტალურად მოწმდება. ამხანაგობებისათვის შესრულებული სამუშაოებისათვის სხვადასხვა სამშენებლო

კომპანიებზე 2 032.4 ათასი ლარი გადაირიცხა. სულ საანგარიშო პერიოდში დასრულდა 380 პროექტი (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებმა შეაკეთეს სულ 380 სახურავი, ლიფტი და შიდა წყალ-გაყვანილობა). 2006 წლის პირველ ნახევარში თბილისის კორპუსში აღრიცხვაზე დადგა 876 ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა, რომლებთანაც გაფორმდა 957 ხელშეკრულება.

თბილისის კორპუსის პროგრამის – ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის – ვალდებულებები აღებულ იქნა 2 383.0 ათას ლარზე, პერიოდის დაზუსტებული გეგმის (2 464.5 ათასი ლარის) 97%-ზე, დამოწმდა 2 111.4 ათასი ლარი და გადაირიცხა 2 124.5 ათასი ლარი. 12.9 ათასი ლარი გაიცა ავანსად, რომლის დამოწმების დოკუმენტების წარმოდგენის პერიოდია 19-20 ივლისი.

კორპუსის პროგრამის ხარჯების სტრუქტურას მომსახურების სახის მიხედვით დაახლოებით შემდეგი სახე აქვს: ლიფტები – 602.3 ათასი ლარი; სახურავები – 1 339.4 ათასი ლარი; შიდა წყალკანალიზაცია – 90 .7 ათასი ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 91.8 ათასი ლარი.

2006 წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ პროგრამაში ათვისებულ იქნა წლიური დაზუსტებული გეგმის 19%-ი, მომდევნო თვეებში ასათვისებელი დარჩა 9 155.5 ათასი ლარი (წლიური დაზუსტებული გეგმის 81%-ი).

მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (13 00)

2006 წლის ბიუჯეტით მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 18 ერთეულით, ხოლო ხელშეკრულებით მომუშავეთა რაოდენობა 2 ერთეულით.

სამსახურის აპარატის 6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 156.3 ათ. ლარი, დაზუსტდა 166.3 ათას ლარამდე. 10.0 ათასი ლარით გაიზარდა კაპიტალური რემონტის ხარჯები.

შესრულებამ შეადგინა 126.8 ათ. ლარი. აუთვისებელი დარჩა 39.4 ათ. ლარი. რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების ხარჯებში წარმოქმნილი ეკონომიით.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური (14 00)

ქ.თბილისის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისისათვის გათვალისწინებულია 127,045.2 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტით 195,963.9 ათასი ლარი. გეგმის დაზუსტება ძირითადად გამოიწვია კეთილმოწყობის ღონისძიებების გეგმების ზრდამ.

2006 წლის 6 თვის დახუსტებული გეგმა შეადგენს 86093.3 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 73348.0 ათას ლარს, ანუ 12745.3 ათასი ლარით ნაკლებს, მათ შორის, აპარატის შენახვის ხარჯები 583.4 ათასი ლარი. კეთილმოწყობის ღონისძიებები 72742.1 ათასი ლარი, აქედან გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების ხარჯი 28490.2 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 11718.3 ათასი ლარი, სანიაღვრე ქსელის ექსპლუატაცია 332.0 ათასი ლარი, ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა 370.0 ათასი ლარი, ქალაქგაფორმებითი სამუშაოები 2996.5 ათასი ლარი, ხიდებისა და გვირაბების მოვლა-პატრონობა 65.6 ათასი ლარი, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა პატრონობა 184.3 ათასი ლარი, თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობა 184.3 ათასი ლარი, ფასადების შეკეთების სამუშაოები 5471.6 ათასი ლარი, დაგვა დასუფთავების ღონისძიებები 15,559.9 ათასი ლარი, გამწვანების სამუშაოები 355.3 ათასი ლარი, სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები 7168.7 ათასი ლარი. საგზაო ნიშნების მოწესრიგების ღონისძიებები 308.7 ათასი ლარი, ავარიული შენობების გამაგრება, 1332.1 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური ხარჯები 1135.9 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოები 245.8 ათასი ლარი.

აღნიშნული დაფინანსების შესაბამისად სამსახურის მიერ მიზნად იქნა დასახული პრიორიტეტულ დარგებში დაფინანსების ხვედრითი წილის გაზრდა და კონკრეტული, პირველი რიგის ობიექტებისა და მოვლა-პატრონობის სამუშაოების პროგრამაში გათვალისწინება, რათა გაუმჯობესდეს გზების ტექნიკური მდგომარეობა

საგზაო მეურნეობის ხაზით: მიმდინარე წელს საქალაქო მეურნეობის პრიორიტეტულ ღონისძიებად განსაზღვრულ იქნა გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები, სადაც დამტკიცებული გეგმა შეადგენს 60000.0 ათ. ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90800.0 ათ.ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 28490.2 ათ. ლარი. მ.შ. დავალიანების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 5135.0 ათ. ლარი, დაფარულია მთლიანად.

2006 წლის 6 თვეში ქ თბილისის გზებისა და შიდა კვარტალური ქუჩების კაპიტალურ შეკეთებაზე ჩატარებული იქნა – 6 ტენდერი, 46 ქუჩაზე (მ.შ. 2 საერთაშორისო ტენდერი 27 ქუჩაზე), მათ შორის, ომის გმირების, ლაღიძის, ვეკუას, ქერჩის, გლდანის I მ/რ შემოვლითი გზა, ბოჭორიშვილის, კალოუბნის, გახოკიძის, თაყაიშვილის, კუპრაძის, საბურთალოს, ბელიაშვილის, საირმის, სუხიშვილების, შავიშვილის, გიორგი ბრწყინვალეს, დიმიტრი თავდადებულის, დიღმის მასივი III კვ., ახმეტელის, პაიჭაძის, მიქელაძის, ირ. აბაშიძის, ლიბაანის, მიქელაძის, სანაკოევის, ძოწენიძის, მიქატაძის, საცხენისის, ჩიქობავას, საქართველოს ერთიანობისა თვის მებრძ. გმირების, კობერიძის ქუჩები, ვარკეთილი-3 I მ/რ, ვარკეთილი-3 II მ/რ, არკეთილი-3 III მ/რ, დიდი/დიღომი III მ/რ, დიღმის მასივი Iკვ,

დიდმის მასივი II კვარტალი, დიდმის მასივი V კვარტალი, დიდმის მასივი VI კვარტალი, დიდი/დიდომი IV მ/რ, დიდმის მასივი IV კვარტალი, ვარკეთილი-3 IV მ/რ, ვაზისუბნის IV მ/რ მე-3კვ, ფონიჭალის დასახლების შიდა კვარტალური გზები, ლაღიძის IV შესახ და ცოტნე დადიანის გამზ. მონაკვეთის კაპ. შეკეთება, ბავშვთა ქალაქთან მისასვლელი გზა

2006 წლის 6 თვეში ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 50751 კვ.მ. ქუჩებს ქალაქის სხვადასხვა რაიონებში საერთო ღირებულებით 1494.0 ათ. ლარი,

მ.შ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (ბარათაშვილის ხიდის მიმდ.ტერიტორია), ზაურ ბოლქვაძის ქუჩას და დოლიძის ქუჩის დასაწყისის, ირაკლი აბაშიძის ქუჩას, საირმის ქ-ის მონაკვეთს, მინდელის სახ. ხიდს. ღამბაშიძის ქუჩას, სამტრედიის, ბათუმის, თევდორე მღვდლის, ქუთაისის ქუჩებს. კოსტავას ქ-ისა და გამსახურდიას გამზირის შემაერთებელი ქუჩას, სასტ. აჭარისა და დანიური სახლის მიმდ. ტერიტორიას. მოსკოვის გამზირს, ბ. ხმელნიცკის ქუჩას და მის გაგრძელებას, ქინძმარაულის II შესახვევს, გმირთა მოედნის მიმდინარე ტერიტორიას, ტროლეიბუსების პარკის მიმდებარე ქუჩას, წერეთლის გამზირის მონაკვეთის, მანჯგალაძის ქუჩას, ვეფხისა და მოყმის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიას, უნივერსიტეტის ქ-ის მონაკვეთს (თამარაშვილის ქ-დან საბურტალოს სასაფლაომდე), ბარნოვის ქუჩის მონაკვეთს, ალ. ყაზბეგის გამზირს, ვახუშტის ხიდს და მისი მიმდებარე პანდუსებს, ხიზანიშვილისა და დუმბაძის ქუჩებს, გამსახურდიას გამზირს, გაგარინის ქ. და მოედანს, ბულაჩაურის ქ. 26 მაისის მოედანს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მონაკვეთს, ფალიაშვილის, ზანდუკელის, ნუცუბიძის, თამარაშვილის, უნივერსიტეტის, ქავთარაძის, გუდამაყრის, ქსნის. ანაპის დივიზიის ქ-ებს ქეთევან წამებულის პროსპექტს, წურწუმიას და ირბახის, კობარეთის, კვაჭანტირაძის, დავითაიას ქუჩებს და სხვა.

ქალაქის გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობაზე 2006 წლის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 13000.0 ათ. ლარი, დავალიანების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 979.2 ათ. ლარს. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 21500.0 ათ.ლარს. 6 თვის დაფინანსებამ შეადგინა 11718.3 ათ. ლარი (მ.შ. 2005 წლის კრედ. დავალიანება 979.3 ათლარი), ხოლო შესრულებულია 9160.0 ათ. ლარის სამუშაოები.

შპს "თბილქალაქგანათება" კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით მომსახურეობას უწევს 48.0 ათასამდე სანათ წერტილს, მ.შ. 27.0 ათასამდე მომქმედს, ხოლო 21.0 ათასამდე სანათი დაკონსერვებულია და საჭიროებს კაპ. შეკეთებით

სამუშაოებს. აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და წლის ბოლოსთვის მოქმედი სანათი წერტილების რაოდენობა გაიზრდება 80-85%-ით.

მიმდინარეობს ქ.წამებულის გამზირის, ჩოლოყაშვილის ქუჩის, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის, ლილოს დასახლების, ზემო ფონიჭალის დასახლების, გლდანულას დასახლების, ქეთევან წამებულის გამზირის მონაკვეთის (მ/ს "ისანი"-დან – მოსკოვის გამზირამდე), დოლიძის, ჩიქოვანის, ბალანჩივაძის, იოსელიანის, ჩაილურის, ტეხურის, ნასიძის, ჭიათურის, ახალშენის, ბაკურციხის, პანკისის, ბოლქვაძის, ნატახტარის, ტუსკიას, ლიხაურის, ლიხაურის ჩიხების, შესახვევის, ბაკურიანის, ქარელის და წინაუბნის ქუჩების. ვარკეთილის 3 მე-IV მ/რ-ის, 3 III მ/რ-ის, IIIა მ/რ-ის თაყაიშვილის, კუპრაძის, დვალის ქუჩების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში სანათების შეყიდვაზე ჩატარდა ღია ტენდერი ღირებულებით - 3800.0 ათ ლარი. შესყიდული იქნა 17000 სანათი.

არქიტექტურული და მხატვრული მინათება გაუკეთდა ი. ჭავჭავაძის გამზ. №74 კორპუსის ფასადს, სპორტის სასახლის ფასადს, ვაჟა-ფშაველას ძეგლს, ბარათაშვილის ძეგლის მიმდ. სკვერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე სკვერს, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიას, სამტრედიის ქ-ზე არსებული კორპუსების №51,3ა,4ა მოზარდმაყურებელთა თეატრის ფასადს, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე შევჩენკოს ძეგლს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ თაღებს, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თაღებს.

ქალაქის სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციასა და კაპ. შეკეთებაზე ბიუჯეტით დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინს 1000.0 ათ. ლარი - შესრულებულია 345.0 ათ. ლარის სამუშაო. გადარიცხულია იქნა 332.0 ათ. ლარი.

ქ. თბილისის სანიაღვრე მეურნეობა მოიცავს 430 კმ. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებს, რომლებზეც მოწყობილია 60 სათავე ნაგებობა, 1200 გვერდმიმღები, 1000-მდე წვიმმიმღები და საკონტროლო ჭა.

შპს "სანიაღვრე მეურნეობა" კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით ყოველდღიურად ატარებს სანიაღვრე ქსელების საექსპლოატაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს.

გაფორმებითი სამუშაოების 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 2780.0 ათ. ლარს. დავალიანებამ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 44.0 ათ. ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8080.0 ათ, ლარს. ფაქტიურად შესრულდა

3092.6 ათ. ლარის სამუშაოები, დაფინანსება 2996.5 ათ. ლარი. (მ.შ. 2005 წლის კრედ. დავალიანება 35.2 ათ.ლარი)

საქართველოს სახელმწიფო დროშების და უცხო ქვეყნის დროშების შესყიდვაზე ჩატარდა ღია ტენდერი ღირებულებით 300.0 ათ. ლარი.

შესრულებულ იქნა სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები, მ.შ. შობა-ახალი წლის ღონისძიება; შვედეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იორან პერსონის საქართველოში ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები; თურქეთის პრეზიდენტის ბ-ნ აჰმედ ნეჯდეთ სეზერისა და ქ-ნ სემრა სეზერის ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები; დამზადდა დროშები, გმირთა მოედანზე დროშების მხატვრული მინათება და ა.შ. 26 მაისის ღონისძიებებთან, ყვავილების ფესტივალის "ვარდობის თვე თბილისში" დაკავშირებული ღონისძიებები და სხვა.

ნაგავსაყრელი პოლიგონების და ფონიჭალის ნ/გადამტვირთი სადგურის მოვლა-პატრონობაზე დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 800.0 ათ. ლარი. დავალიანების ნაშთი 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 7.2 ათ. ლარს. დაზუსტებული გეგმა შეადგნს 525.0 ათ.ლარს. გეგმის შემცირება განაპირობა დასუფთავების სამსახურის კეთილმოწყობის სამსახურიდან გამოყოფამ.

ფაქტიურად შესრულდა 418.8 ათ. ლარის სამუშაოები. ხოლო ბიუჯეტიდან გადარიცხულია 370.0ათ. ლარი. მ.შ. 2005 წლის კრედ.დავალიანება 7.2 ათ.ლარი.

ქ. თბილისიდან გაზიდულ მუნიციპალურ (საყოფაცხოვრებო) ნარჩნებს იღებს გლდანისა და იაღლუჯის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონები. საანგარიშო პერიოდში გაუვნებლობისათვის შეტანილი იქნა 712760 კუბური მეტრი ნარჩენი.

ნაგავსაყრელ პოლიგონებზე შეზიდულ ნაგავს უკეთდება გაუვნებლობა, კერძოდ, ხდება მისი გადაწევა და გასწორება წინასწარმოწყობილ მოედნებზე, კეთდება მოედანზე მისასვლელი გზების მცირემოცულობის შეკეთება, პერიოდულად ტარდება დეზინფექცია-დერატიზაცია. ფონიჭალაში მოქმედებს ნაგავგადამტვირთი სადგური.

ხიდებისა და გვირაბების 2006 წლის დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 1100.0 ათ. ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 69.4 ათ. ლარი. დაფინანსებამ – 65.6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში საექსპლუატაციო სამუშაოები ჩაუტარდა მეტეხის საგვირაბო კომპლექსს.

ქალაქში განთავსებული 54 **მიწისქვეშა გადასასვლელიდან** დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 49 გადასასვლელი, სადაც ხორციელდება საექსპლუატაციო სამუშაოები.

2006 წელს ამ კუთხით ბიუჯეტის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 500.0 ათ. ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1000.0 ათლარს. შესრულებული იქნა 222.9 ათ. ლარის მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობის და სარემონტო სამუშაოები. ამ მიზნით ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენს 184.3 ათ. ლარს.

თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობაზე 2006 წელს გათვალისწინებულია 100.0 ათ. ლარი. აღნიშნულ სამუშაოებზე აპრილის თვეში ჩატარებულ იქნა ღია ტენდერი ღირებულებით 58.9 ათ. ლარი, რომლის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებიცც განახორციელებენ თბილისის ზღვის, №1 და №2 პლაჟის 24 საათიანი დაცვას, გლდანის ღია ნაგავსაყრელი პოლიგონის 24 საათიანი დაცვას.

ჩასატარებელია პლიაჟის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მ.შ. პლიაჟის ზედაპირის მოწყობის, საჩრდილობლების დამზადების და მონტაჟის, სპორტული და საბავშვო კომპლექსის რეკონსტრუქცია.

საანგარიშო პერიოდში, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 29.6 ათ. ლარი.

ფასადების შეკეთებით სამუშაოებზე მ/წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 6000.0 ათ ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14750.0 ათ ლარი. დავალიანება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 544.1 ათ. ლარს.

საანგარიში პერიოდში ჩატარდა ოთხი ტენდერი ფასადების სარემონტო აღდგენით და მოპირკეტების სამუშაოებზე.

შესრულდა შენობა-ნაგებობების ფასადების ანაზომების სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 7426.9 ათ. ლარს, ხოლო დაფინანსება – 5471.6 ათ. ლარს. მ.შ. 2005 წლის კრედიტორული დავალიანება - 544.1 ათ. ლარი.

ქ. თბილისის **სანიტარული დასუფთავების პროგრამით** 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 13000.0 ათ.ლარს. ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 21210.0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ღია საერთაშორისო ტენდერი მუნიციპალური მყარი და დიდი ზომის ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე, ქუჩების დაგვა-დასუფთავებასა და მონახვეტი ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებაზე.

ნაგავსაყრელებზე გაუვნებლობისათვის შეტანილი იქნა 712760 კუბური მეტრი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ფაქტიურმა დაფინანსებამ – 15559.9 ათ. ლარი შეადგინა.

ქალაქგამწვანების სამუშაოების 2006 წლის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 2000.0 ათ.ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2470.0 ათ. ლარი. დავალიანება 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 20.9 ათ. ლარს.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება ქალაქში არსებული მწვანე ზოლების, ბაღ-პარკების დაგვა-დასუფთავება, ხეების სეზონური გადაბელვა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებები, ხე-ბუჩქების ფორმირება, სატყეო მეურნეობების შევსება ნერგებით, მოსასვენებელი საბაღე სავარძლების მოწყობა და შეკეთება მოქალაქეებისათვის.

მიმდინარე წლის მარტის თვეში შესყიდული იქნა და აეროპორტის ავტოსტრადაზე დაირგო სხვადასხვა სახის 368 ძირი ნერგი.

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების მოცულობა შეადგენს 372.2 ათ. ლარს, ხოლო დაფინანსება – 355.3 ათ. ლარს.

სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოები 2006 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 6300.0 ათ. ლარის ოდენობით, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15435.0 ათ. ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 199.6 ათ. ლარი.

საანგარიში პერიოდში შეძენილი იქნა ტექნიკური მარილი და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით მოყრილი იქნა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. ღია ტენდერის შედეგად შეძენილი იქნა ყინულის მოედნის გასაბერი გადახურვის საშუალება, რიყის ტერიტორიაზე მოეწყო ატრაქციონი „ტაუერი“, მიმდინარეობს ხეების გადაბელვა, თავისუფლების მოედანზე მიმდინარეობს სამუშაოები „წმინდა გიორგის“ ქანაკების დასამონტაჟებლად და ჯილჯიღა ოქროთი მოსაპირკეთებლად.

სხვადასხვა ერთჯერადი კეთილმოწყობის ღონისძიებების ფაქტიურმა დაფინანსებამ 7168.7 ათასი ლარი.

ქ.თბილისის **ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-**რეაბილიტაციისათვის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულია 5744.9 აათ.ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა- 7220.1 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 470.5 ათ ლარი. 6 თვეში ფაქტიურად დაფინანსდა 1332.1 ათ. ლარის სამუშაოები (მ.შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა- 470.5 ათ.ლარი)

სამუშაოები შესრულდა შემდეგ ობიექტებზე: ვარკეთილი - 3 კორპ. 303, ვარკეთილი ზ/პ კორპ. 3, ვარკეთილი - 3 I მ/რ კორპ. 18, ვარკეთილი - 3 I მ/რ კორპ. 25, გამსახურდიას ქ. №36, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 2ა, გლდანის VII მ/რ კორპ. 26, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 17, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 21, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 22, ნუცუბიძის IV მ/რ კორპ.21, ჟვანიას სახ. ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო, ლომოურის ქ. №1.

კაპიტალური მშენებლობისა და აღდგენა - რეკონსტრუქციის პროგრამა (სხვა კაპიტალური ხარჯი) 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენს 7228.0 ათ,ლარს.

დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა- 6271.3 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 446.2 ათ.ლარი)

ფაქტიურად შესრულდა დაფინანსდა 1135.9 ათასი ლარის სამუშაოები. მ.შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა 430.3 ათ ლარი.

სამუშაოები მიმდინარეობდა:

-ელექტროგადამცემი ხაზის "ორთაჭალა 1-2"-ის №4 ანძის მიმდებარედ დაზიანებული ჯებირის აღდგენა-გამაგრება, „წმიდა სამების“ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო კომუნიკაციები, საინფორმაციო ცენტრის აღდგენა–რეკონსტრუქცია ზუბალასვილის ქ.23, სუხიშვილების სტუდიის აღდგენა რეკონსტრუქცია, ბახტრიონის ქ. 35 ლოჯიების გამაგრება, ვაშლიჯვარის IIIა ზონა მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

კაპიტალური მშენებლობისა და აღდგენა - რეკონსტრუქციის პროგრამით **საპროექტო დოკუმენტაციის** მომზადება 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენს 745.7 ათ. ლარს დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა- 945.7 ათ.ლარი. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანებამ შეადგინა 145.7 ათ ლარი.

საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად შესრულდა 128.1თ. ლარის სამუშაოები. ხოლო 6 თვის დაფინანსებამ შეადგინა – 245.8 ათ. ლარი. (მ.შ. 2006 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვა 118.2 ათ.ლარი,).

საგზაო ნიშნების მოწესრიგების პროგრამით ფაქტიურად დაფარულია 2005 წლის კრედიტორული დავალიანება 308.7 ათ.ლარის ოდენობით.

შ.პ.ს. “თბილისის წყალი” (15 00)

2006 წლის 6 თვეში ქალაქის ბიუჯეტიდან წყალმომარაგების უზრუნველ-საყოფად დაგეგმილი იყო 5,721.5 ათასი ლარი. ფაქტიურად 6 თვეში ქალაქის ბიუჯეტიდან სულ მიღებულია 5,719.4 ათასი ლარი (100%). აღნიშნული თანხიდან 858.0 ათასი ლარით დაფინანსდა მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებზე გავრცელებული შეღავათები, ხოლო დარჩენილი ნაწილით ორგანიზაციის მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები, კერძოდ, ორგანიზაციის მიერ 6 თვეში მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულება – 4,658.1 ათასი ლარი, ასევე შეძენილ იქნა დიდი დიამეტრის მილები და ფასონური ნაწილები ღირებულებით 459.1 ლარი, ხოლო 602.2 ათასი ლარი გადახდილია ობიექტების დაცვის ღირებულებაზე.

ასევე საწესდებო კაპიტალის შესავსებად 6 თვეში დაგეგმილი იყო 18,657.0 ათასი ლარი, ფაქტიურად ბიუჯეტიდან განხორციელდა 100%-იანი დაფინანსება, რომლითაც დაფინანსდა მიმდინარე პერიოდის სამშენებლო - სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

კერძოდ, 2006 წლის 6 თვეში შესრულდა 20,789.6 ათასი ლარის სამშენებლო - სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მათ შორის:

1. ქ. თბილისის წყალმომარაგების სარეზერვო სათავე ნაგებობების მშენებლობა მდ. არაგვზე ბუფერულ აუზთან – 202.1 ლარი.
2. ზემო ვეძისში "540" ნიშნულზე 10 000 მ3 მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა – 1,015.4 ათასი ლარი.
3. გლდანში, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიმდებარე წყალმომარაგების ქსელის გაუმჯობესება – 2,133.5 ათასი ლარი.
4. ზღვის უბნის 10 000 მ3 მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის რეკონსტრუქცია – 296.9 ათასი ლარი.
5. ფონიჭალის დ-900 მმ წყალდენის მაგისტრალური აკვედუკი – 763.5 ათასი ლარი.
6. პროექტირება – 435,1 ათასი ლარი.
7. სასმელ-სამეურნეო წყალდენისა და კანალიზაციის ქსელები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში – 15,943.0 ათასი ლარი.

ასევე ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 143.0 ათასი ლარი ძველი კრედიტორული დავალიანების დასაფარავად ფაქტიურად აღნიშნული მიზნით მიღებულ იქნა 142.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კრედიტორული დავალიანების სრულად დაფარვისათვის წლის ბოლომდე მისაღები რჩება 246.3 ათასი ლარი.

„თბილისის მეტროპოლიტენი შპს" (16 00)

მეტროპოლიტენით გადასაყვან მგზავრთა რაოდენობა 2006 წელს პროგნოზირდება 107,0 მილ.მგზავრით. მათ შორის მიმდინარე წლის პირველ ნახევარის მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 104,5%-ით. გადაყვანილია 56445,74 ათ. მგზავრი რაც გეგმას (54,0 მლნ) 2445,74 ათასი მგზავრით, ხოლო გასული წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელს 5595,74 მლნ. მგზავრით აღემატება. "მეტროპოლიტენის სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების" პროგრამის ფარგლებში ქალაქის ბიუჯეტიდან მიღებულია 6340,98 ათასი ლარი და გადაყვანილ მგზავრთა მთლიან რაოდენობაზე შენარჩუნებულია მგზავრობის დაბალი ტარიფი 20 თეთრის ოდენობით, ამასთანავე უზრუნველყოფილია ყოველდღიურად 40,1 ათასი იძულებით გადაადგილებული პირის, 12,0 ათასი ომის ვეტერანის, 500 უგზოუკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრის, 55 საინგილოდან ჩამოსული სტუდენტის და 122 საქართველოს უსინათლოთა კავშირისათვის მეტროპოლიტენით უფასო მგზავრობა.

მოძრავი შემადგენლობის (ვაგონების) მოდერნიზაციის 2006 წლის პროგრამა ითვალისწინებს 13392,0 ათ. ლარს, 2006 წლის პირველი ნახევარი წლის პროგრამით გათვალისწინებული 7000,0 ათ.ლარიდან საქალაქო ბიუჯეტიდან მიღებულია 6883,32 ათ.ლარი. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოსათვის ექსპლუატაციაში გაშვებული იქნა 12 ახალი ვაგონი.

რაც შეეხება სადგურებისა და ვესტიბიულების კაპიტალურ შეკეთებას 2006 წლის პროგრამით გათვალისწინებულია 2550,0 ათ.ლარი. მათ შორის პირველ ნახევარი წლის ფინანსირება შეადგენს 1015,24 ათ.ლარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1300,0 ათ.ლარი. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მუშაობას შეუდგნენ აპრილის თვიდან, რის გამოც ვერ იქნა ათვისებული გეგმით გამოყოფილი მთლიანი თანხა.

მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე 2006 წელს დაგეგმილია 1825,0 ათ.ლარი, მათ შორის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაფინანსებულია 372,0 ათ.ლარის სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული 862,5 ათ. ლარის ნაცვლად . მეტროპოლიტენის მშენებარე ობიექტებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამების შესრულებაზე ტენდერში გამარჯვებულია შ.პ.ს. "თბილმეტრომშენი". სამუშაოების დაწყება გათვალისწინებული იყო მეორე კვარტლიდან.

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (17 00)

მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მართვას, რეგულირებას, ზედამხედველობას, აგრეთვე დედაქალაქის საგზაო ნიშნების მოწესრიგების სამუშაოებზე და სამგზავრო ტრანსპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამებზე დამკვეთის ფუნქციის შესრულებას ახორციელებს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

დედაქალაქის მოსახლეობას საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურებას უწევს ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო", „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო" და „თბილბაგირტრანსი", აგრეთვე მიკროავტობუსების 50 და ავტობუსების 3 კერძო გადამზიდავი.

შპს **„მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს"** 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 519 ავტობუსის მოძრავი შემადგენლობა.

ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისის №121 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მთავრობის 2005 წლის 7 ივლისის №11.21.245 და 28 ივლისის №12.16.263

დადგენილებების თანახმად, გაფორმებულია გრძელვადიანი ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის დაბალპროცენტიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე, 2005-2006 წლებში ავტობუსების შესაძენად, 3,1 მლნ. ევროს ოდენობით. გარდა აღნიშნულისა დამატებით გრანტის სახით გამოიყო 405 ათასი ევრო „დაფ“-ის მარკის ავტობუსების შესაძენად.

2006 წლის საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული სესხით შეძენილია 26 ერთეული საშუალო ტევადობის „ბოგდან“-ის მარკის ავტობუსი, ხოლო გრანტის თანხით - 22 ერთეული „დაფ“-ის მარკის ავტობუსი, სულ მიმდინარე წლის 6 თვეში საავტობუსო პარკი შეივსო 48 ერთეულით, 1 ერთეული გადაეცა სხვა ორგანიზაციას.

2006 წლის 6 თვეში წარმოდგემილი მონაცემებით მუნიციპალური ავტობუსებით გადაყვანილია 19,0 მლნ. მგზავრი, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაზრდილია 83 პროცენტით. ამასთან, შესრულებულია 167,0 მლნ. მგზავრკილომეტრი, 238 ათასი ბრუნი, საერთო გარბენა – 4,6 მლნ.კმ., მგზავრთა გადაყვანიდან საწარმოს შემოსავალმა შეადგინა 4196,5, ათასი ლარი, რაც გასული წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით 2114,1 ათასი ლარით, ანუ ორჯერ არის გაზრდილი.

მგზავრთა გადაყვანის შედავათიანი ტარიფის შენარჩუნებისათვის, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდია 4000,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხით ნაწილობრივ დაიფარა საწარმოს საექსპლოატაციო დანახარჯები. კერძოდ, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები – 905,6 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი – 168,5 ათასი ლარი, საწვავი – 2925,9 ათასი ლარი.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აღებული სესხის პროცენტი ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიფარა 700,6 ათასი ლარის ოდენობით.

შპს **„ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოს“** 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ირიცხება 140 ერთეული მოძრავი შემადგენლობა, მათ შორის 17 ერთეული ტრამვაი და 123 ერთეული ტროლეიბუსი. ამ პერიოდისათვის სამარშრუტო სქემა მოიცავდა ტროლეიბუსების 14 და ტრამვაის 1 მარშრუტს.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის № 01.02.02 დადგენილებით ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე გაუქმდა ტროლეიბუსების 7 სამარშრუტო ხაზი – №№ 1,4,6,8,9,11,12 მარშრუტები. ა.წ. 1 ივლისის მდგომარეობით ფუნქციონირებს ტროლეიბუსების 7 და ტრამვაის 1 სამარშრუტო ხაზი.

თბილისის მთავრობის განკარგულებებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს საჩუქრად გადაეცა 26 ერთეული ტროლეიბუსი.

მგზავრობის შეღავათიანი ტარიფის შენარჩუნებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდია 320,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით ნაწილობრივ დაიფარა საწარმოს საექსპლოატაციო დანახარჯები. კერძოდ, თანამშრომელთა ხელფასები, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება და ბიუჯეტის გადასახდელები.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა მიმართ შპს „თბილტრანსის“ დავალიანება ფინანსთა სამინისტროს მიერ აღიარებულია სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1999 წლის 10 აგვისტოს №181 ბრძანებით დაწყებულ იქნა ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება.

ქ. თბილისის ბიუჯეტში 2006 წელს ხელშეკრულებადამთავრებულ მძღოლთა ბინის სანაცვლო საკომპენსაციო თანხებით დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულია 1000,0 ათასი ლარი. მიმდინარე წლის 6 თვეში ბიუჯეტიდან მიღებული 496,9 ათასი ლარით დაკმაყოფილებულია 21 ოჯახი.

2006 წლის საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის აპარატის ხარჯებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 242,4 ათასი ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 226,8 ათასი ლარი, 1 ივლისისათვის რესურსი დარჩა 15,6 ათასი ლარი.

დედაქალაქის სატრანსპორტო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით პირველ ეტაპზე სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მიწისზედა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ოპტიმალური სქემა, შეჯერებული მგზავრთნაკადის რეალურ მდგომარეობასთან, რომელიც დამტკიცდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 24 თებერვლის №3-18 გადაწყვეტილებით და ითვალიწინებს მიკროავტობუსების 214 მარშრუტს 2383 მოძრავი შემადგენლობით. სამსახური აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს სხვადასხვა უცხოურ კერძო სატრანსპორტო ოპერატორებთან ქალაქში არსებული სატრანსპორტო გადაზიდვების ბაზრით დაინტერესების მიზნით.

ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (18 00)

ქ. თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 2006 წლის 6 თვის გეგმა ცვლილებების გათვალისწინებით შეადგენს 97.5 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 84.3 ათას ლარს, მათ შორის მიმდინარე ხარჯები – 74.3 ათასი ლარი. კაპიტალურ ხარჯებში გათვალისწინებული 10.0 ათასი ლარი გამოყენებული იქნა არქივის ოფისის

მოსაწესრიგებლად: შეძენილი იქნა კომპიუტერი, კომპიუტერის მაგიდა, ფაქსის აპარატი და საწერი მაგიდები.

საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო (19 00)

სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს 2006წლის ექვსი თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90.0 თასი ლარი. შესრულებაა 75.2 ათასი ლარი. გეგმის (83 %) .აღებული ვალდებულება და დამოწმებაც შეადგენს 75.2 ათას ლარს.

შ.პ.ს ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურის (20 00)

წყალში მაშველი სამსახურის 2006წლის ექვსი თვის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 54.8 ათასი ლარი, ექვსი თვის შესრულებამ 42.0 ლარი (გეგმის 76 %) ამავე ოდენობით განიზაღვრა აღებული ვალდებულება და დამოწმებაც.

შინაგან საქმეთა სამმართველო (21 00)

ქ.თბილისის შს მთავარი სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 490.9 ათას ლარს, ფაქტიური ხარჯი გაწეულია 461.7 ათასი ლარის ოდენობით. ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული სამმართველოები მთლიანად შეადგენს 36 ობიექტს. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა კომუნალური ხარჯები რაც ძირითადად გამოწვეულია იმით რომ ობიექტებზე დამთავრდა სარემონტო სამუშაოები, განხორციელდა მიშენებები და შესაბამისად გაიზარდა სასარგებლო ფართები, კეთილმოეწყო და შემოიღობა შს მთავარ სამმართველოსა და მისი დანაყოფების ეზოები და ავტოსადგომები, გათბობის სისტემები გადაყვანილი იქნა ბუნებრივი აირის მოხმარებაზე. დამონტაჟებული იქნა ზამთარ-ზაფხულის კონდენციონერების სისტემები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა სატელეფონო კავშირგაბმულობის ქსელი და დღეისათვის სამმართველოს სარგებლობაშია 364 ერთეული ტელეფონო.

2006 წლის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტით კომუნალური ხარჯები შეადგენს 945,1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 443,9 ათასი ლარი. მათ შორის ელექტროენერგია გეგმა 208,0 ათასი ლარი, ფაქტი 208,0 ათასი ლარი. წყლის ხარჯი 98,1 ათასი ლარი, ფაქტი 88,6 ათასი ლარი, რაც გეგმიურთან შედარებით 9,5 ათასი ლარით ნაკლებია. ბუნებრივი აირის ხარჯი გეგმით 43.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მთლიანად დაფინანსებულია. კავშირგაბმულობის ხარჯი გეგმით 105,8 ათასი ლარი, ფაქტი 95,3 ათასი ლარი.

სხვა ხარჯებისათვის გეგმით გათვალიწინებული იყო 16,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 6,8 ათასი ლარი.

2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეადგენს 408.4 ათას ლარს.

ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური (22 00)

ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურს ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტით დაუმტკიცდა 3443.0 ათ. ლარი, მათ შორის: მმართველობითი აპარატის შესანახი ხარჯი – 306.7 ათ. ლარი, სუბსიდიები – 3136.3 ათ. ლარი. საშტატო ერთეულთა რაოდენობა განესაზღვრა 568 ერთეულით, მათ შორის: აპარატი – 38 ერთეული, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში დასაქმებული პერსონალი – 530 ერთეული. ქ. თბილისის მერის 14.06.06 წლის №98 განკარგულებით სამსახურს დაუმტკიცდა ახალი საშტატო ერთეულთა ნუსხა, რომელითაც მმართველობითი აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა განისაზღვრა 52 ერთეულით.

ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის №03.07.61 დადგენილების საფუძველზე სამსახურისათვის 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში განხორციელდა ცვლილება, რის გამოც სამსახურისათვის დამტკიცებულ საერთო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა არ შეცვლილა, კერძოდ: სუბსიდიების ხარჯი შემცირდა 110.7 ათ.ლარით და იგივე ოდენობით გაიზარდა აპარატის შესანახი ხარჯი.

6 თვის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგენდა 1821.1 ათასი ლარი, ფაქტი 1734,2 ათასი ლარი. მათ შორის: აპარატი გეგმა 213.0 ათასი ლარი, ფაქტი 170.8 ათასი ლარი. სუბსიდიები 1608.1 ათასი ლარი, ფაქტი 1563.4 ათასი ლარი. 6 თვის განმავლობაში ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე გეგმა დაზუსტდა აპარატისათვის 216.2 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლში 161.3 ათასი ლარით და შესაბამისად დამქირავებლიდან ანარიცხების მუხლში 32.3 ათასი ლარით (სხვა საქონელისა და კაპიტალური ხარჯების გეგმა არ შეცვლილა). ხოლო სუბსიდიებში 1604.9 ათასი ლარით. აღნიშნული დაზუსტება გამოიწვია აპარატში შრომის ანაზღაურების ფონდისა და შესაბამისად დამქირავებლიდან ანარიცხების გაზრდამ.

2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კრედიტორული დავალიანება შეადგენს 287.2 ათას ლარს.

ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმის შედეგად 2006 წლის 4 ივლისიდან ლიკვიდაცია განიცადა შ.პ.ს. „ქ. თბილისის წყალში მაშველთა სამსახურმა“ და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველომ, ხოლო რეორგანიზებულ

იქნა ქ. თბილისის მერიის ხანძარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახური, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, ხანარსაწინააღმდეგო საქალაქო სამსახურის სამართალმემკვიდრე – ქ. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახური.

დაზარალებულ თბილისელთა პრობლემების კოორდინაციის კომისია (25 00)

1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალურ ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 26.04.02 №3 ა/87 გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სამართლოს 20.11.02 №3 გ/ად 212-კ-02 განჩინებით ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლოდურად დაეკისრათ 4606.9 ათასი აშშ დოლარის გადახდა. გარდა აღნიშნულისა 2003-2005 წლებში 24 დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ საქართველოს უზენაესი სამართლომ ქ. თბილისის მერიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლოდურად დააკისრა 919.6 ათასი აშშ დოლარის გადახდა. 2003 წლიდან 2006 წლის პირველ იანვრამდე ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოყოფილი 1586.5 ათასი ლარი 1991-92 წ.წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ ყოველთვიურად ნაწილდებოდა დაზარალებულ მოქალაქეზე პროპორციული წესით და სს „საქართველოს ბანკის“ მიერ კომისიის წარდგენილი სიის შესაბამისად დაზარალებულ მოქალაქეთა მატერიალურ ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის 2006 წლის 6 თვეში გადარიცხულია გეგმით გათვალისწინებული 400.8 ათასი ლარი.

მერის სარეზერვო ფონდი (26 00)

ქ.თბილისის 2006 წლის 6 თვეში მერის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იქნა 494.3 ათასი ლარი, მათ შორის: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის 65.1 ათასი ლარი, სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის 429.2 ათასი ლარი.

2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა (26 00)

2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარავად 1500.0 ათასი ლარი, საიდანაც 6 თვეში

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დავალიანებების დასაფარავად მიიმართა 592.9 ათასი ლარი.

გლდანი – ნაძალადევის რაიონი (28 00)

გლდანი – ნაძალადევის რაიონის 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენს 4799,2 ათას ლარს, რომელიც ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის № 03.11.65, 2006 წლის 16 მაისის № 12.16.24 დადგენილებების, რაიონის გამგეობის №46, №73 დადგენილებების და განკარგულებების საფუძველზე დაზუსტდა და შეადგინა 4714,4 ათასი ლარი. შესრულებული იქნა 4126,4 თასი ლარით ანუ გეგმის 87.5 პროცენტით, შემოსავლი გადამეტებამ ხარჯებზე შეადგინა 783,2 ათასი ლარი, გარდამავალი ნაშთია 40,0 ათასი ლარი და თავისუფალი ნაშთია 10,6 ათასი ლარი.

რაიონის ბიუჯეტის 2006 წლის ხარჯების 6 თვის დამტკიცებული გეგმა 4 799,2 ათასი ლარი, დაზუსტებულია და შეადგენს 4 714,4 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდისათვის აღებულია ვალდებულება 4 382,5 ათას ლარზე, დამოწმებამ შეადგინა 4 126,4 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 4 126,4 ათასი ლარით ანუ გეგმის 87.5%-ით. რესურსი შეადგენს 350,6 ათას ლარს.

ცალკეული ღონისძიებების მიხედვით დაფინანსების მდგომარეობა ასე გამოიყურება: მმართველობითი ორგანოების ხარჯების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმა იყო 326,8 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 314,2 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 305,3 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 305,3 ათასი ლარით. რესურსი შეადგენს 12,7 ათას ლარს. უშუალოდ გამგეობის აპარატის შენახვის ხარჯების დამტკიცებული გეგმაა- 292,1 ათასი ლარი, ვალდებულებამ შეადგინა 283,2 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 275,3 ათასი ლარი და საკასო ხარჯიც შეადგენს 275,3 ათას ლარს.

ცალკეული მუხლების მიხედვით კი შესრულება ასე გამოიყურება:

შრომის ანაზღაურების დამტკიცებული გეგმაა 178,4 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 170,6 ათასი ლარი.

სხვა საქონელი და მომსახურეობის დამტკიცებული გეგმა 88,7 ათასი ლარი, დაზუსტებულია გამგეობის 15 მაისის №490 განკარგულებით და შეადგინა 86,4 ათასი ლარი, საკასო ხარჯია –77,5 ათასი ლარი, საიდანაც 4,1 ათასი ლარი ოფისის ხარჯია, 55,6 ათასი ლარი – კომუნალური, 11,0 ათასი ლარი – ტრანსპორტის

ექსპლოატაციისა და შენახვის ხარჯი და 6,8 ათასი ლარი - სხვა ხარჯია, საიდანაც 2,5 ათასი ლარი სადეპუტატო ბიუროების შენახვის ხარჯია.

კაპიტალური ხარჯის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 25,0 ათას ლარს, მათ შორის: ინვენტარის შეძენის ხარჯი 15,0 ათას ლარი, ხოლო კაპიტალური შეკეთების 10,0 ათასი ლარი, გამგეობის 2006 წლის 23 იანვრის №91 და 15 მაისის № 490 განკარგულებების საფუძველზე ინვენტარის შეძენის ხარჯი გაიზარდა 12.3 ათასი ლარით, შეადგინა 27,3 ათასი ლარი და შესაბამისად შემცირდა კაპიტალური შეკეთების ხარჯი, საკასო ხარჯია 27,3 ათასი ლარი (შეძენილია ავტომანქანა, მობილური ტელეფონი და კომპიუტერი).

რაიონის სამხედრო განყოფილების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმაა 34,7 ათასი ლარი, საკასო ხარჯია - 29,9 ათასი ლარი. მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე საკასო ხარჯი შეადგენს 16,5 ათას ლარს; სხვა საქონელი და მომსახურეობის- 13,4 ათას ლარს; აქედან: ოფისის ხარჯია 2,6 ათასი ლარი, კომუნალური მომსახურეობაა – 2,6 ათასი ლარი (მ/შორის: ელექტროენერგიის ხარჯია – 2,4 ათასი ლარი და კავშირგაბმულობა 0,2 ათასი ლარი) და ტრანსპორტის მოვლა – შენახვის ხარჯია 8,2 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმაა 1 884,6 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 1 771,6 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 1 593,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 1 593.0 ათასი ლარით. რესურსი შეადგენს 112,8 ათას ლარს. რაიონში ფუნქციონირებს 52 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, მათ შორის 2 ლტოლვილთა საბავშვო ბაღია.

სოციალური ღონისძიებებისათვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 1 452,1 ათასი ლარი, ვინაიდან სოციალური მუშაკების ხელფასის ანაზღაურება ხდება მომდევნო თვეში, ამიტომ იანვრის თვეში გაიცა 2005 წლის დეკემბრის თვის ხელფასი, რომელიც შეადგენდა 3,6 ათას ლარს, ნაცვლად 2006 წლის იანვრის თვეში გათვალისწინებული 3,0 ათასი ლარისა რის გამოც საჭირო გახდა გეგმის დაზუსტება 0,7 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 452,8 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდისათვის ნაკისრმა ვალდებულებამ შეადგინა 1 452,8 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 1 437,0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 437,0 ათასი ლარი, გეგმის 98.9 %-მა დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით. აქედან: მარტოხელა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურმა დახმარებამ დამტკიცებული გეგმით შეადგინა 736,7 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 725,5 ათასი ლარით, მ.შორის ადგილობრივი დაქვემდებარების უმწეო ოჯახი შეადგენს 4635 ოჯახს, რომელთა დაფინანსებისათვის გახარჯულია 658,4 ათასი

ლარი. მათ შორის: ერთსულიანი ოჯახებისათვის –386,3 ათსი ლარი (2889 ოჯახი), ორი და მეტსულიანი – 91,6 ათასი ლარი (358 ოჯახი), დედმამით ობოლი ბავშვებისათვის – 16,0 ათასი ლარი (120 ბავშვი), უსინათლო I ჯგუფის არა მომუშავე ინვალიდებისათვის – 95,8 ათასი ლარი (738ოჯახი), 18 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდებისათვის – 65,7 ათსი ლარი (517 ბავშვი) და მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი – 3,0 ათასი ლარი. (13 ოჯახი).

იძულებით გადაადგილებულ მარტოხელა უმწეო პენსიონერთა ოჯახების რაოდენობა შეადგენს 442 ოჯახს, რომელთა დაფინანსებისათვის დაიხარჯა 54,1 ათასი ლარი, მ.შორის ერთსულიანი ოჯახებისათვის – 32,5 ათასი ლარი (288 ოჯახი), ორი და მეტსულიანი – 4,8 ათასი ლარი (21 ოჯახი), დედმამით ობოლი ბავშვებისათვის – 1,1 ათასი ლარი (9 ბავშვი), უსინათლო I ჯგუფის არა მომუშავე ინვალიდებისათვის – 3,2 ათასი ლარი, (26 ოჯახი), 18 წლამდე ასაკის ბავშვობიდან ინვალიდებისათვის – 12,2 ათასი ლარი (97 ბავშვი) და მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი –0,2 ათასი ლარი. (1 ოჯახი), ხოლო საფოსტო და საბანკო მომსახურეობისათვის დაიხარჯა 13,0 ათასი ლარი. გაცემულია ექვსი თვის დახმარება, დავალიანება არ არის.

მრავაშვილიანი და მარტოხელა დედების ოჯახების მუნიციპალური დახმარება დამტკიცებული გეგმით შეადგენს 335,1 ათას ლარს, საკასო ხარჯია 333,5 ათასი ლარი. დავალიანება არ არის და გაცემულია ექვსი თვის დახმარება. მ.შორის სამშვილიან ოჯახებს მოხმარდა 239,8 ათასი ლარი (2725 ოჯახი), ოთხშვილიანს 38,0 ათასი ლარი (322 ოჯახი), ხუთშვილიანს 12,0 ათასი ლარი (81 ოჯახი), ექვსშვილიანს 3,1 ათასი ლარი (14 ოჯახი), მარტოხელა დედათა 1091 ბავშვი (983 დედა).

გორგასლის I-II-III ხარისხის ორდენოსან გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება გაცემულია 76 ოჯახზე, გეგმით 9,6 ათასი ლარი, დაფინანსებულია 9,1 ათასი ლარით.

გლდანი –ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სასადილო, სადაც იკვებება 1560 უმწეო მოქალაქე ყოველდღიურად, თითო მოქალაქის კვების ხარჯი შეადგენს 0.75 ლარს. გეგმით გათვალისწინებული 213,1 ათასი ლარი ათვისებულია.

დახმარება ყოველ ახალშობილზე გაცემულია 1 798 ვაუჩერზე 89,9 ათასი ლარი.

სოციალურად დაუცველ პერსონალურ პენსიონერთა ტრანსპორტით მგზავრობის კომპენსაცია გათვალისწინებული იყო გეგმით 19,5 ათასი ლარი, საკასო ხარჯი შეადგენს 19,2 ათას ლარს და გაცემულია 641 პენსიონერზე, დედმამით ობოლ 120 ბავშვზე გეგმიური 5,3 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5,0 ათასი ლარი.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯი გაცემულია 52 გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე 18,2 ათასი ლარის ოდენობით. (ვინაიდან ექვსი თვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მხოლოდ 52 გარდაცვლილი მეომრის სარიტუალო მომსახურეობის ხარჯი, ამიტომ 1 ივლისამდე შემოსული განცხადებებიდან დაუფინანსებელი დარჩა 43 გარდაცვლილი მეომრის სარიტუალო მომსახურეობის ხარჯი, თანხით 15,1 ათასი ლარი).

2006 წლის 6 თვეში დამტკიცებული ბიუჯეტით საბინაო-კომუნალური კუთხით გათვალისწინებული იყო 1 095,2 ათასი ლარი. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 018,3 ათასი ლარი. 6 თვის ბიუჯეტი შემცირდა 76,9 ათასი ლარით მ/შ: გამგეობის განკარგულებებით გაიზარდა 7,9 ათასი ლარით და ქალაქ თბილისის მთავრობის 14.02.06 წ. №03.11.65 და16.05.06 წ. №12.16.241 დადგენილებების საფუძველზე 84,8 ათასი ლარით. 6 თვეში ნაკისრმა ვალდებულებებმა შეადგინა 812,5 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია მხოლოდ 759,3 ათასი ლარი ანუ 53,2 ათასი ლარით ნაკლები; რესურსი (სხვაობა დაზუსტებულ გეგმასა და ვალდებულებას შორის) შეადგენს 205,8 ათას ლარს; საკასო ხარჯმა შეადგინა 759,3 ათასი ლარი ანუ დაზუსტებული გეგმის 74,6% და დამოწმების 100%.

საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთება -დამტკიცებული გეგმა შეადგენს 264,0 ათას ლარს, დაზუსტებულმა შეადგინა 318,2 ათასი ლარი, გეგმა გაზრდილია 54,2 ათასი ლარით, მ/შორის:

- გამგეობის გაუთვალისწინებელი ხარჯების შემცირების ხარჯზე გაიზარდა სახურავების შეკეთების ხარჯი- 2,0 ათასი ლარით, გლდ. Iმ/რ კ.12 ავარიული საკედლე ბლოკის აღსადგენი ხარჯი - 2,8 ათასი ლარით, ბანკის მომსახურეობის ხარჯი -0,07 ათასი ლარით და სასტუმრო „აჭარიდან“ გამოსახლებული ოჯახისთვის ბინის ქირა-0,5 ათასი ლარით;

- კეთილმოწყობის სხვა ხარჯების შემცირების ხარჯზე გაიზარდა ჯავის ქ. I შესახვ. №8 – 20,3 ათასი ლარით, ქერჩის #22- 3,0 ათასი ლარით, სახურავების შეკეთება-18,5 ათასი ლარით. III კვარტლიდან იქნა გადმოტანილი II კვარტალში ც. დადიანის ქ. №323-ის აღდგენა-გამაგრების ხარჯები 13,0 ათასი ლარი და პირიქით II კვ-დან III კვ-ში გადატანილია ჩარგლის ქ. 337- დან – 6,0 ათასი ლარი.

ნაკისრმა ვალდებულებებმა შეადგინა 312,7 ათასი ლარი, საიდანაც დამოწმებულია 308,3 ათსი ლარი ანუ 4,4 ათასი ლარით ნაკლები; საკასო შესრულებამ შეადგინა 308,3 ათასი ლარი ანუ დაზუსტებული გეგმის 96.9%. რესურსი შეადგენს 5,5 ათას ლარს; აღნიშნული თანხა ათვისებული იქნება მომდევნო კვარტალში გარდა ც. დადიანის ქ. №323 –ზე რიცხული 0.8 ათასი ლარის და აუთვისებელი 0,2 ათასი ლარის ბინის ქირისა.

საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთების ხარჯებიდან მ/წ შესრულდა 119,7 ათასი ლარის სამუშაოები, მ/შორის: დასრულდა გასულ წელს დაწყებული ე. ბეჟანიშვილის ქ. №21-23, ც. დადიანის ქ. №261 და №323-ში მდებარე მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება – 50,7 ათასი ლარი, ფორს-მაჟორულ სიტუაციაში მიმდინარეობს ჯავის ქ. I შესახვევი №8-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არდგენა-გამაგრება – 19,9 ათასი ლარი, გამაგრდა საკედლე პანელი გლდანის VII მ/რ კ.№12 Iსად. Iსარ. -2,8 ათასი ლარი და ქერჩის ქ. №22-ში -2,9 ათასი ლარი, შეკეთდა 4 შენობის დაზიანებული სახურავი 35,3 ათასი ლარი; გლდანის VII მ/რ კ. 26-ში გაზის აფეთქების შედეგად დაზიანებული 4 ოჯახს აუნაზღაურდა ბინის ქირა 2,4 ათასი ლარი, სასტუმრო „აჭარიდან“ გამოსახლებულ ოჯახზე გაიცა ბინის ქირა 0,4 ათასი ლარი, ც. დადიანის ქ. №305, 305ა,307, 309 და 311 კორპუსების წყალმომარაგებით უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა წყლის მილები 0,8 ათასი ლარი, ექსპერტიზა ჩაუტარდა მ/წ გასამაგრებელი ოთხი ავარიული სახლის პროექტს – 4,4 ათასი ლარი, ბანკის მომსახურეობაზე ხარჯმა შეადგინა 0,06 ათასი ლარი.

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბინაო ფონდის კაპ. შეკეთებაზე რიცხული 199,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანებიდან დაიფარა 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული 188,6 ათასი ლარი. 6 თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 119,7 ათასი ლარი, რაც სრულად ანაზღაურდა, ე. ი. საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 308,3 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ხარჯების 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 831,2 ათას ლარს, დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 700,0 ათასი ლარი ანუ გეგმა შემცირდა 131,2 ათასი ლარით, მ/შორის გამგეობის განკარგულებებით შემცირდა 46,4 ათასი ლარით, ხოლო ქალაქის მთავრობის დადგენილებებით შემცირდა 84,8 ათასი ლარით. ვალდებულებები შეადგენს 499,8 ათას ლარს, დამოწმება 451,0 ათას ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 451,0 ათასი ლარი, ანუ დაზუსტებული გეგმის 64.4 % და დამოწმების 100%. რესურსი შეადგენს 200,2 ათას ლარს, აქედან 200.0 ათასი არის სადარბაზოების კეთილმოწყობის ხარჯები, რაზედაც ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი, ხელშეკრულება სავარაუდოდ გაფორმდება 20 ივლისს და შესაბამისად თანხებიც ათვისებული იქნება მომდევნო კვარტალში, 0,1 ათასი ლარი ბანკის %-ია, 0,07 ათასი ლარი კი გლდ. IV მ/რ კ.102-104 ასასვლელი კიბეების რემონტზე შექმნილი ეკონომია.

მ/წელს გაწეული ხარჯიდან (451,0 ათასი ლარი) დაიფარა 2005 წელს წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები სულ 240,8 ათასი ლარი, მ/წლის ხარჯმა კი შეადგინა 210,2 ათასი ლარი. მ/შორის:

რაიონის მწვანე ზოლის მოვლაზე დაიფარა გასული წლის დავალიანება 36,4 ათასი ლარი, მ/წლის აგროტექნიკურ ღონისძიებებზე კი დაიხარჯა 109,4 ათასი ლარი.

გამწვანების სამუშაოებს ასრულებენ ტენდერის საშუალებით გამოვლენილი გამარჯვებულები. სულ დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 165,7 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 145,8 ათასი ლარი ანუ 19,9 ათასი ლარით ნაკლები, რაც წარმოადგენს VI თვის შესრულებას, რომლის გადარიცხვა მოხდება VII თვეში.

საგზაო სამუშაოებზე დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 96,5 ათასი ლარი, იგივეა ვალდებულებაც, დამოწმება და საკასო ხარჯი შეადგენს 67,6 ათას ლარს (29,8 ათასი ლარი დავალიანების დაფარვა, 37,8 ათასი ლარი-მ/წ სამუშაოებია)ანუ 28,9 ათასი ლარით ნაკლებს. აღნიშნული თანხა ათვისებული იქნება მომდევნო კვარტალში. საგზაო სამუშაოებზე სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა ტენდერის საშუალებით.

წყლის წნევის გამაძლიერებელი წყალსაქაჩების ექსპლოატაციაზე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 402,0 ათასი ლარი დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 117,2 ათასი ლარი ანუ გეგმა შემცირდა 284,8 ათასი ლარით. აღნიშნული ცვლილება მოხდა ქ. თბილისის მთავრობის 14.02.06 წ. №03.11.65 დადგენილების საფუძველზე, აღნიშნული ფუნქციის შპს „თბილწყალკანალისათვის“ გადაცემასთან დაკავშირებით. საკასო ხარჯმა შეადგინა 117,2 ათასი ლარი მ/შ ექსპლოატაციაზე 32,9 ათასი ლარი, ელ. ენერგიაზე 84,2 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის სხვა დანარჩენი ღონისძიებებისათვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 167,0 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 120,6 ათასი ლარი, საკასო ხარჯია 120,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ცვლილებების საფუძველზე გეგმა გაიზარდა 2,2 ათასი ლარით გამგეობის გაუთვალისწინებელი ხარჯების შემცირების ხარჯზე (აღდგა გლდანის IV მ/რ კ.102-104 მ/ტ კიბეები) და შემცირდა 48,6 ათასი ლარით საბინაო ფონდის კაპიტალური ხარჯების გაზრდის მიზნით.

ქ. თბილისის მთავრობის 16.05.06 წ. №12.16.241 დადგენილების საფუძველზე დამატებით გამოიყო 200,0 ათასი ლარი სადარბაზოების კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კეთილმოწყობის ღონისძიებებზე რიცხული 665,8 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანებიდან დაიფარა 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანება თანხით 240,8 ათასი ლარი, რაც 2006 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. ასევე ანაზღაურდა 6 თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან 210,2 ათასი ლარი ე. ი. სულ საკასო ხარჯმა შეადგინა 451,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში აგრეთვე გაწეულია ხარჯი მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახებისათვის გამოყოფილი შენობების შენახვისათვის. დამტკიცებული და დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 9,0 ათასი ლარი, აღებულია ვალდებულება 8,3 ათასი ლარის, დამოწმენულია 8,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 8,3 ათასი ლარი, რესურსი შეადგენს 0,7 ათას ლარს.

გაუთვალისწინებული ხარჯების დამტკიცებული გეგმა 32,0 ათასი ლარი, დაზუსტების შედეგად განისაზღვრა 23,4 ათასი ლარით, აღებულია ვალდებულება 23,4 ათასი ლარის, დამოწმენულია 23,4 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 23,4 ათასი ლარი, რესურსი შეადგენს 0,03 ათას ლარს. აქედან გამგეობის 2006 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებით რაიონში შექმნილი მძიმე ენერგოკრიზისიდან გამომდინარე მოსახლეობისათვის შეშის შესაძენად 3,4 ათასი ლარი, 27 იანვრის №94 განკარგულებით რაიონის ტერიტორიაზე არსებული მე-12-ე საჯარო სკოლის ელექტროენერგიის დაზიანებული კაბელის აღსადგენად 1,9 ათასი ლარი, 9 თებერვლის №135 განკარგულებით – 4,5 ათასი ლარი ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 31 იანვრის №02.05.48 დადგენილების შესასრულებლად დედაქალაქის სკოლებისა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შეშის შესაძენად, 7 მარტის №195 განკარგულებით- 1,5 ათასი ლარი ქ.თბილისის საოლქო და საქართველოს უზენაესი სასამართლოების განჩინების საფუძველზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით, 6,0 ათასი ლარი ქერჩის ქუჩის №22-ში მდებარე სამანევრო ფონდის შენობის ძველი ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარავად,ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 23 მაისის №13.06.256 დადგენილების შესასრულებლად.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი (29 00)

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 2006 წლის 6 თვის ბიუჯეტი განისაზღვრა 3 420,5 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ქ. თბილისის მთავრობისა და რაიონის გამგეობის მიერ ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები, რის საფუძველზეც გეგმა დაზუსტდა და შეადგინა 3 389,5 ათასი ლარი.

რაიონის ბიუჯეტის 2006 წლის 6 თვის შემოსულობების გეგმა შესრულდა 3 561,8 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაფინანსებულია 3 045,3 ათასი ლარით: მ.შ. მმართველობის ხარჯების დამტკიცებული გეგმა იყო 299,6 ათასი ლარი, გეგმა დაზუსტდა და შეადგინა 320,3 ათასი ლარი, აღნიშნულ პერიოდში აღებულ იქნა 292,9

ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 290,1 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 290,1 ათასი ლარი, რესურსმა 27,3 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1 23,4 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ 1 119,4 ათას ლარს, აღებულ იქნა 877,5 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 877,5 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 877,5 ათასი ლარი, რესურსმა 241,9 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში სრულად დაფინანსდა ყველა მუხლში აღებული ვალდებულებები.

სოციალური დაცვისა და სოც. ღონისძიებების ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 859,5 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ 830,5 ათას ლარს, აღებულ იქნა 825,8 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 808,9 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 808,9 ათასი ლარი, რესურსმა 4,7 ათასი ლარი.

გაწეულია დახმარებები: 3, 4, 5, და 6 არასრულწლოვან შვილიან და მარტოხელა დედებს თანხით 129,3 ათასი ლარი, საშუალოდ 4300 ბავშვზე და მარტოხელა დედაზე.

ვ. გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოვებულ გარდაცვლილ მეომართა 35 ოჯახს გაეწია დახმარება 4,3 ათასი ლარის ოდენობით.

უფასო სასადილოებზე დახარჯულია 103,8 ათასი ლარი, რომლითაც ყოველთვიურად სარგებლობს 850 კაცი.

გაცემულია ერთჯერადი დახმარება 610 ახალშობილზე თანხით 30,5 ათასი ლარი.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე გაცემულია 478,6 ათასი ლარი, მ. შ. საშუალოდ ერთი პენსიონერისაგან შემდგარ 2240 ოჯახზე 303,8 ათასი ლარი, ორი და მეტი პენსიონერისაგან შემდგარ 267 ოჯახზე 62,5 ათასი ლარი, დედ-მამით ობოლ 74 ბავშვზე 10,3 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 340 კაცზე 47,6 ათასი ლარი, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის 170 ბავშვზე 24,0 ათასი ლარი, 4 მრავალშვილიან ოჯახზე, რომელსაც ჰყავს 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი 0,8 ათასი ლარი, ლტოლვილ და იძულებით გადადგილებულ ერთი პენსიონერისაგან შემდგარ 127 ოჯახზე 15,9 ლარი, 2 და მეტი პენსიონერისაგან შემდგარ 10 ოჯახზე 2,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 13 კაცზე 1,5 ათასი ლარი, 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის 30 ბავშვზე 3,9 ათასი ლარი. ფოსტის მომსახურების ხარჯი 6,3 ათასი ლარი.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებაზე გახარჯულია 22,1 ათასი ლარი.

530 პერსონალურ პენსიონერზე მგზავრობის კომპენსაციისათვის გაცემულია 16,3 ათასი ლარი.

74 ობოლ ბავშვზე მგზავრობის კომპენსაციისათვის გაიცემა 3,3 ათასი ლარი.

საბინაო ფონდის კაპ. რემონტის დამტკიცებული გეგმა იყო 265,6 ათასი ლარი, დაზუსტდა და შეადგინა 402,2 ათასი ლარი, აღებულ იქნა 382,4 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 377,4 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 377,4 ათასი ლარი, რესურსმა 19,7 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში გასტუმრებულია 2005 წელს წარმოქმნილი დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი 283,4 ათასი ლარის ოდენობით.

კეთილმოწყობის ღონისძიებების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 724,0 ათას ლარს, დაზუსტების შემდეგ შეადგინა 717,1 ათასი ლარი, აღებულ იქნა 691,4 ათასი ლარის ვალდებულება, დამოწმების დოკუმენტი შედგენილია 691,4 ათას ლარზე, ხარჯმა შეადგინა 691,4 ათასი ლარი, რესურსმა 25,7 ათასი ლარი. ყველა ღონისძიება დაფინანსებულია აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონი (30 00)

მთაწმინდა–კრწანისის რაიონის ბიუჯეტის შემოსავლების 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 3094,7 ათას ლარს. დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები. ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 24 თებერვლის №3–11 გადაწყვეტილებით შემცირდა წლიური ბიუჯეტი 102,0 ათასი ლარით, მათ შორის 6 თვე 47,0 ათასი ლარით, ხოლო ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7–34 გადაწყვეტილებით გაიზარდა რაიონის წლიური ბიუჯეტი 400,0 ათასი ლარით, მათ შორის 6 თვე 150,0 ათასი ლარით და დაზუსტების შემდეგ 6 თვის გეგმა განისაზღვრა 3197,7 ათასი ლარით, რომელიც შესრულდა 3405,7 ათასი ლარით ანუ 106,5 %–ით, ე.ი 208,0 ათასი ლარის გადაჭარბებით.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების 6 თვის დამტკიცებული გეგმა შეადგენს 3094,7 ათას ლარს. დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები. ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 24 თებერვლის №3–11 გადაწყვეტილებით შემცირდა წლიური ბიუჯეტი 102,0 ათასი ლარით, მათ შორის 6 თვე 47,0 ათასი ლარით, ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7–34 გადაწყვეტილებით გაიზარდა რაიონის წლიური ბიუჯეტი 400,0 ათასი ლარით, მათ შორის 6 თვე 150,0 ათასი ლარით და დაზუსტების შემდეგ 6 თვის გეგმა განისაზღვრა 3197,7 ათასი ლარით, რომელიც შესრულდა – 2800,1 ათასი ლარით ანუ 87,6 %-ით ე.ი 397,6 ათასი ლარის ნაკლებობით.

ხარჯების გაწევა ხორციელდება გამგეობის მიერ აღებული და დამოწმებული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა მინისტრის №820 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 6 თვეში აღებულ იქნა ვალდებულება 2856,8 ათასი ლარის ოდენობით, დამოწმება წარმოდგენილია 2799,8 ათას ლარზე. დაფინანსებულია 2800,1 ათასი ლარით. 6 თვის შედეგების მიხედვით დარჩენილია 340,8 ათასი ლარის რესურსი.

რაიონის გამგეობის აპარატის ხარჯები დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 270,0 ათასი ლარი რომელიც დაფინანსებულია 235,6 ათასი ლარით ანუ 87,3 %-ით, აუთვისებელია 34,4 ათასი ლარი. ძირითადად აუთვისებელია ოფისის ხარჯები 8,2 ათასი ლარი, 3,9 ათასი ლარი სხვა კომუნალური ხარჯები; კაპიტალური ხარჯები 8,9 ათასი ლარი. 1 ივლისის მდგომარეობით მმართველობის ხარჯებში დავალიანებები არ გვერიცხება.

რაიონის სამხედრო განყოფილება დაფინანსებულია 84,1 %–ით, (დაზუსტებული გეგმა 32,0 ათასი ლარი, ფაქტი 26,9 ათასი ლარი). აუთვისებელია ოფისის ხარჯები 2,4 ათასი ლარი. 1 ივლისის მდგომარეობით დავალიანება არ ერიცხება.

რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 6 თვის გეგმა შეადგენს 944,0 ათას ლარს, რომელიც დაფინანსებულია 818,1 ათასი ლარით, ანუ 86,7 %–ით, ე.ი. 125,9 ათასი ლარის ნაკლებობით. ძირითადად აუთვისებელია კომუნალური ხარჯები 70,6 ათასი ლარის ოდენობით (მ.შ. ელექტროენერგიის ხარჯები 13,2 ათასი ლარით, წყლის ხარჯები 16,6 ათასი ლარით, გათბობის ხარჯები 33,8 ათასი ლარით), კვების ხარჯები 23,8 ათასი ლარით და კაპიტალური ხარჯები 4,5 ათასი ლარით. 1 იანვრისათვის ერიცხებოდათ დავალიანება 47,0 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებული იქნა და 1 ივლისისათვის დავალიანებები არ ერიცხებათ. 6 თვეში აღებულია ვალდებულება 823,2 ათას ლარზე. დამოწმება წარმოდგენილია 818,1 ათას ლარზე.

რაიონის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებში 2006 წლის 6 თვეში დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 723,1 ათასი ლარის ასიგნება, რომელიც დაფინანსებულია 635,3 ათასი ლარით ანუ 87,9 %-ით. 87,8 ათასი ლარით ნაკლებობი. 2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დავალიანება არ ერიცხებათ.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ფინანსური დახმარება გეგმით გათვალისწინებული იყო 95,0 ათასი ლარი, რომელიც დაფინანსებულია 94,5 %–ით, ფაქტიურად გაცემულია 89,8 ათასი ლარის ასიგნება. მათ შორის:

– რაიონში აღრიცხულ 3,4,5, და 6 არასრულწლოვანშვილიან 800 ოჯახზე (2583 ბავშვზე) და მარტოხელა დედათა 310 ოჯახზე (351 ბავშვზე) 6 თვის განმავლობაში გაცემულია მუნიციპალური დახმარება 88,5 ათასი ლარი. (გეგმა 93,0 ათასი ლარი) დავალიანება არ ირიცხება.

– ვახტანგ გორგასლის I, II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული დახმარება 2,0 ათასი ლარი, დაფინანსებულია 65 %–ით, ანუ 0,7 ათასი ლარის ნაკლებობით. დავალიანება არ ირიცხება;

2006 წლის ბიუჯეტით სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის სხვა პროგრამებთან ერთად გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოებში კვებით უზრუნველყოფა. რაიონში ფუნქციონირებს 4 კვების ბლოკი ლეონიძის ქ.№2-ში, გორგასალის ქ.№75–ში, ქვემო ფონიჭალაში (უსინათლოთა დასახლებაში) და მაჩაბლის ქ.№16-ში. 1605 მოქალაქის უფასო კვების ორგანიზებას აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული ქალთა საქველმოქმედო ფონდი „ვიქტორია“ 1 კაცზე 1 დღის კვების თანხა გათვლილია 85 თეთრზე. მაჩაბლის №16–ში მდებარე ბავშვთა უფასო კვების ორგანიზებას, სადაც იკვებება 70 ბავშვი, აწარმოებს ასევე ტენდერში გამარჯვებული კავშირი „ბავშვთა სოციალური მომსახურების ცენტრი“. 1 ბავშვის კვება დღეში გათვლილია 75 თეთრზე. ამ მიზნით 6 თვის გეგმით გათვალისწინებული 255,4 ათასი ლარი დაფინანსებულია 210,5 ათასი ლარით ანუ 82,4 %. 6 თვეში აღებულ იქნა ვალდებულება 236,5 ათას ლარზე. დამოწმება წარმოდგენილია 210,5 ათას ლარზე. დავალიანება არ ერიცხებათ.

ქ.თბილისის საკრებულოს 2003 წლის 5 მაისის №23 დადგენილების „ახალშობილთა სპეციალური დახმარების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარებები გაიცემა თბილისში მუდმივად მცხოვრები მშობლების თითოეულ ახალშობილზე 50 ლარის ოდენობით. ამ მიზნით 2006 წლის 6 თვის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებული 29,0 ათასი ლარიდან გაცემულია 391 ბავშვზე 19,6 ათასი ლარი. დავალიანება არ ერიცხებათ.

სოციალური დახმარება დაენიშნა და გაცემულია უმწეო მდგომარეობაში მყოფ 1927 ოჯახსა და პიროვნებაზე 278,7 ათასი ლარი, (დამტკიცებული გეგმა- 292,5 ათასი ლარი, შესრულდა 95,3 %). მათ შორის მარტოხელა პენსიონერთა ერთსულიან 1139 ოჯახზე 152,8 ათასი ლარი, ორი და მეტსულიან პენსიონერთა 150 ოჯახზე–

32,7 ათასი ლარი, 20 დედ-მამით ობოლ ბავშვზე– 2,9 ათასი ლარი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირველი ჯგუფის არამომუშავე უსინათლო 383 პიროვნებაზე– 50,6 ათასი ლარი, 16 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 151 ბავშვზე 19,2 ათასი ლარი, მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი 5 ოჯახზე 1,1 ათასი ლარი. აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაზე (113 ოჯახი იგივე კატეგორიებზე) 15,6 ათასი ლარი და ფოსტის მომსახურების ხარჯები 3,8 ათასი ლარი. 2006 წლის 1 ივლისისათვის დავალიანება არ ერიცხებათ.

რაიონის სხვა სოციალური ღონისძიებების ხარჯებისათვის 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 51,2 ათასი ლარი. რომელიც დაფინანსებულია 71,7 %–ით ანუ 36,7 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებებიდან 2006 წლის 6 თვის განმავლობაში სოციალურ საკითხებზე დასაქმებულ მუშაკთა შესანახი ხარჯები დაფინანსებულია 78,3 %–ით. (გეგმა 23,0 ათასი ლარით, ფაქტი 18,0 ათასი ლარი). აუთვისებელია 5,0 ათასი ლარი რაც მთლიანად სხვა ხარჯებია.

შეუფერხებლად გაიცემოდა გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურეობაზე კანონით განსაზღვრული თანხა 350 ლარი. დაკმაყოფილდა ომის ვეტერანთა ოჯახების 22 განცხადება თანხით 7,5 ათასი ლარი და დევნილთა გარდაცვალების დაკრძალვის ხარჯები თანხით 0,9 ათასი ლარი. სულ 8,4 ათასი ლარი (გეგმა 13,2 ათასი ლარით) დავალიანება არ გვერიცხება

სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებებიდან 2006 წლის განმავლობაში პერსონალურ პენსიონერთა მეტროთი მგზავრობის კომპენსაცია გაცემულია 9,4 ათასი ლარი. (გეგმა 13,5 ათასი ლარი, ფაქტი 9,4 ათასი ლარი). დავალიანება არ გვერიცხება.

2006 წლის განმავლობაში მთლიანად დაფინანსებულია 27 ობოლ (უდედმამო) ბავშვთა მგზავრობის კომპენსაცია 0,9 ათასი ლარის ოდენობით. დავალიანება არ გვერიცხება.

ავარიული საბინაო ფონდის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებზე 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია 330,0 ათასი ლარი. დაფინანსება შეადგენს 329,4 ათას ლარს (99,8%), ფაქტიური შესრულება 56,7 ათას ლარს. 2006 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი იყო დავალიანება 277,2 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად დაფარულია და 1 ივლისისათვის დავალიანება არ ერიცხებათ.

საანგარიშო წლის გეგმით გათვალისწინებული 2 შენობის გამაგრებითი სამუშაოებიდან დამთავრდა ორივე ობიექტი 14,8 ათასი ლარის მოცულობით. შესრულებულია 37,4 ათასი ლარის გაუთვალისწინებელი სამუშაოები. მათ შორის

აბაშიძის ქ.№6–ში ავარიული საცხოვრებელი სახლის დაშლისათვის გაწეულია ხარჯი 19,9 ათასი ლარი და გ. აბესაძის ქ. №4–ში ხანძრისაგან დაზიანებული ავარიული საცხოვრებელი სახლის დაშლისათვის 17,5 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმა 755,6 ათასი ლარი დაზუსტებულია ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7–34 გადაწყვეტილებით, კერძოდ 6 თვის გეგმა გაზრდილია 100,0 ათასი ლარით, ხოლო ქ.თბილისის საკრებულოს 24 თებერვლის №3–11 გადაწყვეტილებით შემცირებულია 47,0 ათასი ლარით და დაზუსტების შემდეგ გეგმა განისაზღვრა 808,6 ათასი ლარით, რომელიც შესრულდა- 738,6 ათასი ლარით ანუ 91,3 % შესრულებას დააკლდა- 70,0 ათასი ლარი. მათ შორის:

გზების მოვლა–შეკეთების სამუშაოების დაფინანსება 6 თვეში შეადგენს- 281,2 ათას ლარს. (გეგმა 281,3 ათასი ლარი) ფაქტიური შესრულება 217,7 ათას ლარს. 2006 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი იყო დავალიანება- 63,6 ათასი ლარი, რომელიც დაფარულია და 1 ივლისისათვის დავალიანება არ ერიცხებათ.

მწვანე ნარგაობათა მოვლის ხაზით 6 თვის დაფინანსება შეადგენს 239,7 ათას ლარს, (გეგმა 240,4 ათასი ლარი). ფაქტიური შესრულება 205,7 ათას ლარს. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანება ირიცხებოდა 33,9 ათასი ლარი, რომელიც დაფარულია და 1 ივლისისათვის დავალიანება არ ერიცხებათ.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება შეადგენს 210,2 ათას ლარს, (გეგმა 210,2 ათასი ლარი) ფაქტიური შესრულება – 148,9 ათას ლარს. 2006 წლის 1 იანვრისათვის დავალიანება შეადგენდა 82,8 ათას ლარს, საიდანაც დაფარულია 61,3 ათასი ლარი და 1 ივლისისათვის დავალიანება დარჩა 17,5 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებებიდან გაწეულია ძირითადად შემდეგი ხარჯები: 18 დეკორატიული შადრევნის და სასმელი წყლის სოკოს წყლის ხარჯი 0,4 ათასი ლარი; შადრევან–აუზების ელექტროენერგიის ხარჯი 7,9 ათასი ლარი; შადრევან–აუზების ექსპლოატაცია 68,1 ათასი ლარი; ავარიული საყრდენი კედლების აღდგენა–გამაგრება 42,4 ათასი ლარი; ბაღებში, სკვერებსა და გაზონებში სკამებისა და საქანელების შეძენა–მონტაჟი 3,1 ათასი ლარი; სარწყავი სისტემის აღდგენა და ახლის მოწყობა 21,2 ათასი ლარი; საახალწლო ღონისძიებები 2,1 ათასი ლარი; ხეების მოჭრა–გადაბელვა 3,7 ათასი ლარი და 2005 წლის დავალიანება 61,3 ათასი ლარი.

ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7–34 გადაწყვეტილებით კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯებში 6 თვეში გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების პირველი სართულის კეთილმოწყობის

ხარჯები 100,0 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე 23 ივნისს გამოცხადებულია ტენდერი და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ დაიწყება სამუშაოების შესრულება.

გაუთვალისწინებელი ხარჯები დაფინანსებულია 6,7 ათასი ლარით. (გეგმა 30,0 ათასი ლარი ანუ 22,3 %–ით). მათ შორის:

ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 9 ივნისის №7–34 გადაწყვეტილებით, 6 თვის გეგმა გაზრდილია 50,0 ათასი ლარით ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამისათვის, შესრულება 6 თვეში არ არის. მიმდინარეობს სამუშაოები და დაფინანსება დაიწყება III კვარტალში.

ვაკე-საბურთალოს რაიონი (31 00)

ვაკე-საბურთალოს რაიონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმა 3693.4 ათასი ლარი, დაზუსტებული იქნა 3430.4 ათასი ლარით. ფაქტიური შემოსავალი მიღებულია ქალაქის გამანაწილებელი ანგარიშიდან დაზუსტებული ნორმატივის 2.822%-ის შესაბამისად – 3725.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 108.6%–ია.

რაიონის 2006 წლის ბიუჯეტის 6 თვის ხარჯების დამტკიცებული გეგმა 3693.4 ათასი ლარი, დაზუსტებული იქნა 3580.4 ათასი ლარით, რაც დაფინანსებულია 2879.4 ათასი ლარით ანუ 80.4-%-ით.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა 810.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 723.3 ათასი ლარით ანუ 89.3 %-ით.

აქედან გამგეობის აპარატის ხარჯების გეგმა 290.5 ათასი ლარი დაფინანსებულია 262.3 ათასი ლარით. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 143.8 ათასი ლარი, ანარიცხი – 28.8 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 56.4 ათასი ლარი. აქედან: ოფისი – 13.3 ათასი ლარი (საკანცელარიო ნივთების შეძენა, კომპიუტერის და ქსეროქსის კატრიჯის დატენვა, საარქივო დოკუმენტაციის შენახვის ღირებულება), კომუნალური – 31.6 ათასი ლარი (გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავება, მობ. ტელეფონების გადასახადი, თბილწყალკანალის დავალიანების დაფარვა), ტრანსპორტის მოვლა – 10.0 ათასი ლარი (გამგებლის ა/მანქანის საწვავის ღირებულება), კაპიტალური ხარჯი – 33.3 ათასი ლარი (გამგეობისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა, ავტომანქანის შეძენა).

სამხედრო განყოფილების ხარჯების 6 თვის გეგმა 31.2 ათასი ლარი დაფინანსებულია 27.6 ათასი ლარით. განყოფილებაში 5 საშტატო ერთეულია,

რომელთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 13.2 ათასი ლარი, ანარიცხი – 2.6 ათასი ლარი. სხვა საქონელი და მომსახურება – 11.8 ათასი ლარი (ოფისი – 2.6 ათასი ლარი, კომუნალური 2.3 ათასი ლარი მ.შ. ელ ენერგიის გადასახადი 1.4 ათასი ლარი, წყლის გადასახადი – 0.2 ათასი ლარი, ტელეფონების გადასახადი – 0.7 ათასი ლარი. სხვა ხარჯი – 6.9 ათასი ლარი (საწვავის ღირებულება).

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის 6 თვის გეგმით გათვალისწინებული 1410.0 ათასი ლარიდან ხარჯი გაწეულია 1065.5 ათასი ლარი ანუ 75%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 379.4 ათასი ლარი, ანარიცხი – 75.8 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 610.3 ათასი ლარი. აქედან: ოფისი – 26.5 ათასი ლარი, კომუნალური – 227.3 ათასი ლარი, კვების ხარჯები – 335.8 ათასი ლარი, რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენა – 11.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 8.8 ათასი ლარი.

სოციალური ღონისძიებების ხარჯების 6 თვის დამტკიცებული გეგმა 1107.6 ათასი ლარი ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით დაზუსტებული იქნა 1130.6 ათასი ლარით, კერძოდ გაიზარდა უფასო სასადილოების გეგმა. შოც. ღონისძიებები 6 თვეში დაფინანსებულია 1023.1 ათასი ლარით ანუ 90.5 %-ით.

დახმარებები სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე დაფინანსებულია 173.8 ათასი ლარით. დახმარებები გაიცა 1999 მრავალშვილიან და მარტოხელა დედაზე – 373.1 ათასი ლარი.

ვახტანგ გორგასლის I,II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარებები გაიცა 58 სულზე – 6.9 ათასი ლარი.

დახმარება ყოველ ახალშობილზე გეგმა 65.0 ათ. ლარი დაფინანსებულია 51.5 ათ. ლარით. დახმარება 50 ლარის ოდენობით გაიცა 1030 ახალშობილისთვის..

უფასო სასადილოების გეგმა 136.4 ათასი ლარი დაფინანსებულია 134.0 ათასი ლარით. რაიონში ფუნქციონირებს ოთხი უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება 1090 კაცს.

უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოც. დახმარებების გეგმა 610.6 ათასი ლარი, დაფინანსებულია 590.4 ათასი ლარით.

სოც. საკითხებზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 14.8 ათ. ლარი, ანარიცხი 2.9 ათასი ლარი (მუშაკთა რაოდენობაა 20), სხვა საქონელი და მომსახურებაზე 5.0 ათ. ლარი. (საკანცელარიო ნივთების შეძენა, კომპიუტერის აქსესუარები)

სხვა სოც. ღონისძიებების ხარჯების გეგმა 72.2 ათ. ლარი დაფინანსებულია 50.7 ათასი ლარით. მათ შორის:

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება გაეწია 45-ს – 15.0 ათ. ლარი, პ/ პენსიონერთა მგზავრობის კომპენსაცია 33.1 ათასი ლარი გაიცა 1205 პენსიონერზე, 63 ობოლ ბავშვზე გაიცა მგზავრობის კომპენსაცია – 2.6 ათასი ლარი. კუთვნილი სახელმწიფო სოციალური დახმარებები გაცემულია სრულად.

საბინაო ფონდის კაპ. შეკეთების ხარჯების 6 თვის გეგმა 126.8 ათასი ლარი დაფინანსებულია 102.4 ათასი ლარით ანუ 80.8 %-ით. მათ შორის ხარჯები გაწეულია ავარიული საბინაო ფონდის გასული წლის დავალიანების დასაფარავად 95.1 ათასი ლარი და მიცკევიჩის ქ№ 4 ის გამაგრების სამუშაოები – 6.7 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისათვის მიმართულია 5321.9 ათასი ლარი, რაც გეგმის – 5495.0 ათასი ლარის 96.8 %-ია.

დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებზე წლიური გაიხარჯა 384.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 552.0 ათასი ლარის 70 %-ია.

საგზაო სამუშაოების 6 თვის გეგმა 107.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 106.0 ათასი ლარით ანუ 99.1 %-ით. ჩატარდა ასფალტ-ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება, ბიტუმის მოსხმა ორმოს ნაწიბურებზე, ღორღის ფუძის მოწყობა შემდეგ ობიექტებზე – დოლიძის ქუჩა, ბულაჩაურის ქუჩა, აბაშიძის, და ა.შ.

მწვანე ნარგავების მოვლის გეგმა 158.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 140.7 ათასი ლარით ანუ 89.1 %-ით.

წყლის წნევის გამაძლიერებელი ტუმბოების მომსახურების ელ. ენერგიის დავალიანების დასაფარავად მიმართულია 36.7 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის სხვადასხვა ღონისძიებების ხარჯების გეგმა 100.0 ათასი ლარი დაფინანსებულია 99.1 ათასი ლარით ანუ 99.1 %-ით. ხარჯები გაწეულია გამგეობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიებებზე. მ.შ. სკვერების კეთილმოწყობა; სანიაღვრე ქსელის მოწყობა, მრგვალი ბაღის რეკონსტრუქცია, ავარიული ხეების მოჭრა და სხვა.

კეთილმოწყობის ღონისძიებებს 6 თვეში დაემატა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების I სართულის კეთილმოწყობის ხარჯები – 150.0 ათასი ლარის ოდენობით.

მიწისძვრით დაზარალებულთა შენობის მომსახ. ხარჯი დაფინანსებულია 13.5 ათასი ლარით (ჯიქიას ქ №.18 სახლის შეკეთება, გადახურვა, ლიფტის შეკეთება, ნარჩენების გატანა).

გაუთვალისწინებელი ხარჯები დაფინანსებულია 2.4 ათასი ლარით.

კრედიტორული დავალიანებები 2006 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 119825 ლარს, რომელიც 1 ივლისისათვის დაფარულია სრულად.

ისანი–სამგორის რაიონი (32 00)

ისანი-სამგორის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილი 2006 წლის 6 თვეში განსაზღვრული იყო 5144,9 ათასი ლარის ოდენობით. ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 14 თებერვლის № 03 11 65 დადგენილებით წყლის წნევის გამაძლიერებელი ტუმბოების მომსახურების ხარჯების გადანაწილების გამო რაიონის ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილება რის საფუძველზეც წლიური ბიუჯეტი შემცირდა 909,0 ათასი ლარით, აქედან I კვარტალი შემცირდა 178,0 ათასი ლარით, ხოლო II კვარტალის გეგმა 167.7 ათასი ლარით; გარდა ამისა ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 16 მაისის №12 16 241 დადგენილებით რაიონის წლიური ბიუჯეტი გაიზარდა 550,0 ათასი ლარით, მათ შორის II კვარტალი 200,0 ათასი ლარით, რის შედეგადაც საანალიზო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 4999,2 ათასი ლარით. 6 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 5247.1 ათასი ლარი, ხოლო ხარჯებმა 4715,6 ათასი ლარი. აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე დარჩენილმა რესურსმა შეადგინა 212.8 ათასი ლარი. გამგეობის აპარატის დამოწმებასა და საკასო ხარჯს შორის 120 ლარით სხვაობა გამოიწვია გამგეობის შენობაში იჯარით გაცემული ფართიდან ბიუჯეტის ანგარიშზე შემოსულმა შემოსავალმა, რითიც შემცირებულ იქნა შენობის მოვლა პატრონობაზე გაწეული საკასო ხარჯი.

დარგობრივ ჭრილში შესრულება შემდეგ სურათს იძლევა:

საანალიზო პერიოდში საბინაო- კომუნალური და კეთილმოწყობის ხაზით უნდა დახარჯულიყო 1475,0 ათასი ლარი, საიდანაც ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალურ შეკეთებაზე 2006 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი დავალიანების დასაფარავად მიმართული იყო 583,1 ათასი ლარი, რაც ფაქტიურად ათვისებულ იქნა. კერძოდ, დაფინანსებულ იქნა ავარიული ბინების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დავალიანებები შემდეგ მისამართებზე: III მასივის I კვარტლის „ბ“ კორპუსი–9.8 ათასი ლარით, მარტყოფის ქუჩა№21– 30,2 ათასი ლარით, III მასივის VII კვარტალი, №16 კორპუსი – 24,7 ათასი ლარით; ავლაბრის გასასვლელი №3 –36,1 ათასი ლარით, მოსკოვის გამზირი IIკვარტალი №16 კორპუსი – 110,0 ათასი ლარით; მარტყოფის №23–54,4 ათასი ლარით; X სამხედრო ქალაქი 32/33 – 16,2 ათასი ლარით; სახურავების შეკეთების ხარჯები –277,1 ათასი ლარით, ხოლო გაუთვალისწინებელი ხარჯები 24,6 ათასი ლარით.

დანგრეული კორპუსებიდან გაყვანილი ოჯახების ბინის ქირაა 121.8 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე ნაცვლად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 875,0 ათასი ლარისა დახარჯულია 873,0 ათასი ლარი. კერძოდ, გამწვანების სამუშაოებზე დაიხარჯა 200,0 ათასი ლარი, საიდანაც 13,8 ათასი ლარი

დაფარული დავალიანებაა. მთლიანად იქნა დაფინანსებული გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დავალიანება 6,2 ათასი ლარით; და შესრულებული სამუშაოს ღირებულება 272,0 ათასი ლარით. კეთილმოწყობის სხვადასხვა ხარჯების დავალიანება დაფარულ იქნა სრულად 143,9 ათასი ლარის ოდენობით.

წყალსაქაჩი სადგურების მომსახურების ხარჯების დავალიანებამ 2006 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 169,0 ათასი ლარი, საიდანაც დაფარულ იქნა მხოლოდ 40,8 ათასი ლარის შესრულებული სამუშაო, გარდა ამისა იანვრის თვის შესრულებამ შეადგინა 15.7 ათასი ლარი, რის გამოც 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დავალიანებამ შეადგინა 143.9 ათასი ლარი, აქედან წყალსაქაჩი სადგურების ექსპლოატაციაზე ირიცხება 23,2 ათასი ლარი, რაც უნდა გადაეცეს შპს „თბილწყალკანალს“.

რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების ღონისძიებებზე 6 თვეში გათვალისწინებული იყო 2440,3 ათასი ლარი გამგეობის 2006 წლის 22 თებერვლის №02-04 და №02-23 დადგენილებებისა, 24 მაისის №351 და 19 ივნისის №438 განკარგულებების საფუძველზე შეტანილი ცვლილებებით დაზუსტებულ იქნა 1951,2 ათას ლარამდე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1712,3 ათასი ლარი.

რაიონის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახარჯულია 1090,0 ათასი ლარი, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებზე მუნიციპალური დახმარების სახით გაცემულია 270,3 ათასი ლარი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალურ დახმარებებზე დაიხარჯა 510,0 ათასი ლარი; გორგასალის I, II, III ხარისხის ორდენით დაჯილდოვებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე 7380 ლარი, ხოლო უფასო სასადილოში სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა კვებაზე 179,9 ათასი ლარი. გარდა ამისა ახალშობილთა დახმარებაზე მიმართულია 70,0 ათასი ლარი. გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვაზე 24,5 ათასი ლარი, სოცმუშაკთა შენახვაზე კი 20,8 ათასი ლარი.

გამგეობის აპარატის შენახვაზე დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 308,6 ათასი ლარი, ფაქტიურად დახარჯულ იქნა 285,6 ათ ლარი. მათშორის: შრომის ანაზღაურებაზე 142,2 ათასი ლარი; დამქირავებლიდან ანარიცხებზე 28,4 ათასი ლარი, სხვა საქონელი და მომსახურებაზე 94,2 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებზე 20,7 ათასი ლარი.

სამხედრო განყოფილების დასაფინანსებლად დაზუსტებული გეგმით გამოყოფილი იყო 35,9 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 28,4 ათასი ლარი. მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 13,6 ათასი ლარი, დამქირავებლიდან ანარიცხებზე 2,7 ათასი ლარი, ხოლო ტრანსპორტის ხარჯებზე 8,2 ათასი ლარი.

დაბა წყნეთი (33 00)

დაბა წყნეთის 2006 წლის შემოსავლები 6 თვის დამტკიცებული გეგმით შეადგენს– 290,7 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმით შეადგენს – 290,7 ათას ლარს. 2006 წლის 6 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა – 319,5 ათასი ლარი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლები შემოღებული არ არის.

დაბა წყნეთის 2006 წლის 6 თვის ხარჯები დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 290,7 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით შეადგენს – 290,7 ათასი ლარს, ფაქტიურად გაიხარჯა – 143,1 ათასი ლარი.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები 6 თვის დამტკიცებული გეგმით შეადგენდა – 101,1 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმით შეადგენს – 108,6 ათას ლარს, ფაქტიურად გაიხარჯა – 87,7 ათასი ლარი. მ.შ. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გასაცემად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 55,2 ათასი ლარი, ფაქტიური ხარჯი შეადგენს – 44,1 ათას ლარს. დამქირავებლიდან ანარიცხები გეგმით განსაზღვრული იყო – 11,1 ათასი ლარი., ფაქტიურად გაიხარჯა – 8,8 ათასი ლარი. ოფისის ხარჯი დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 4,6 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 4,6 ათასი ლარი. კომუნალურ ხარჯში გეგმით განსაზღვრული იყო – 6,9 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 4,4 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შესაბამისად ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, კავშირგაბმულობის, წყლის და სხვა კომუნალურ გადასახადებს. ტრანსპორტის ხარჯი დაზუსტებული გეგმით შეადგენს – 6,9 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 3,0 ათასი ლარი. მათ შორის: გამგეობის ავტომანქანის საწვავის ხარჯი გაწეულ იქნა – 2,6 ათასი ლარით, რემონტის ხარჯი – 0,4 ათასი ლარით. მმართველობის სხვა ხარჯების მუხლი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა – 1,4 ათას ლარს, ფაქტიურად ხარჯი – 1,2 ათასი ლარით შემოიფარგლა, რაც მოხმარდა ბანკის საკომისიო გადასახდელებს და გამგეობის დოკუმენტების აკინძვას. მმართველობის კაპიტალური ხარჯების მუხლი 6 თვის დამტკიცებული გეგმით შეადგენდა – 15,0 ათას ლარს, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა – 22,5 ათას ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა – 21,6 ათასი ლარი, რაც მოხმარდა: გამგეობისთვის ავტომანქანის შეძენას – 15,0 ათასი ლარი, ინვენტარის შეძენას – 6,6 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 6 თვის დამტკიცებული გეგმა გათვალისწინებული იყო - 41104 ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა - 41104 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 19186 ლარი. კერძოდ, მუშა-მოსამსახურეთა 5 თვის ხელფასების ანაზღაურებისთვის გაიცა - 8492 ლარი, დამქირავებლიდან

ანარიცხებისთვის - 1699 ლარი, კომუნალური ხარჯებისთვის - 4246 ლარი. ბავშვთა კვებაზე ხარჯი შეადგენს - 4749 ლარს.

სოციალური დაცვის ხარჯები 6 თვის დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული იყო – 50,9 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით – 50,9 ათასი ლარი, ფაქტიურად 5 თვის დახმარება შეადგენს – 23,7 ათას ლარს, კერძოდ: 3,4,5 და 6 მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარება დაზუსტებული გეგმით შეადგენდა – 14,1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 8,3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა 50 ადგილობრივ და 54 იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს. ვახტანგ გორგასლის 1,2,3 ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დახმარება დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული იყო – 1,5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 1,0 ათასი ლარი. უფასო სასადილოები, რომლისთვისაც, დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 11,5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით – 10,5 ათასი ლარი, არ ფუნქციონირებს, ვინაიდან მათზე გამოყოფილი ფართი არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. ყოველ ახალშობილზე დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული იყო – 1,5 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით – 2,5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 1,8 ათასი ლარი. დახმარება გაწეულ იქნა 35 ახალშობილზე. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარება დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 19,5 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 11,5 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა: ადგილობრივი მოსახლეობის მარტოხელა არამომუშავე 32 პენსიონერს, დედმამით ობოლ 1 ბავშვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1ჯგუფის არამომუშავე 12 უსინათლო პენსიონერს, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 7 ბავშვს. დევნილი მოსახლეობის მარტოხელა არამომუშავე 39 პენსიონერს, დედმამით ობოლ 3 ბავშვს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 1ჯგუფის არამომუშავე 7 უსინათლო პენსიონერს, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 7 ბავშვს. ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 2,5 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა – 1,1 ათასი ლარი, პერსონალურ პენსიონერთა და უდედმამო ობოლი ბავშვების მგზავრობისათვის კომპენსაცია გეგმით შეადგენდა – 0,4 ათას ლარს. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა – 0,2 ათასი ლარი.

კეთილმოწყობის ხარჯების მუხლში 2006 წლის 6 თვის დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული იყო – 90,6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმით – 84,6 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა – 7,3 ათასი ლარი. კერძოდ: საგზაო სარკეების დამონტაჟების ხარჯი შეადგენს – 5,8 ათას ლარს, გამწვანებითი სამუშაოების ხარჯი – 1,5 ათას ლარს.

გაუთვალისწინებელი ხარჯები 2006 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო – 6,9 ათასი ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა – 5,4 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა – 5,2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა: ექსპერტიზის და აუდიტორულ მომსახურებას – 4,0 ათასი ლარი, ხელშეკრულებით დასაქმებულ მუშა მოსამსახურეთა ხელფასებს – 1,2 ათასი ლარი.

ქ. თბილისის მერიის საფინანსო
საქალაქო სამსახურის უფროსი პაპუნა პეტრიაშვილი